FACES & NAMES

ვიზუალური ხელოვნება

2011

2010

2008-2009

აქცენტი -დეცენტრალიზაცია ხელოვნებაში

დავით ჩიხლაძე ჟურნალი `ცხელი შოკოლადი~ ექსკლუზიურად "სახე(ლ)ებისთვის"

ხელოვნების ზღვა ფოთში

2010 წელი, ალბათ, ყველაზე ნაკლებად დატვირთული იყო ბოლო პერიოდის საქართველოს საგამოფენო ცხოვრებაში, არა იმდენად რაოდენობრივად, არამედ ენერგიის და იდეების ინტენსივობის მხრივ. თუმცა, წლის ყველაზე მნიშვნელოვანი არტ მოვლენა, არტისტერიუმი კვლავ ინარჩუნებდა აქტუალობას და ლიდერის პოზიციებს, რაც, პირველ რიგში, მისი კურატორის მაგდა გურულის კონცეპტუალური სიზუსტის და ლაკონურობის შედეგია. გაჩნდა უცნაური ტენდენციებიც, მათ შორის, გალერისტთა ერთგვარი ექჰიბიციონიზმი - გალერეა 9-ს გამოფენა მარინა ამზაშვილის კურატორობით, რაც, როგორც ჩანს, 2011 წელსაც ჰპოვებს განვითარებას. ყველაზე ინოვაციური და ახალგაზრდული კი ზაფხულში, ამავე გალერეაში გამართული ჯგუფური გამოფენა იყო გიორგი კევლეს ჯგუფის მხატვრების მონაწილეობით, სახელწოდებით Iნბეტწეენ, რომელსაც ქეთო ლოგუა კურატორობდა.

4-14 აგვისტოს ფოთში

თანამედროვე ხელოვნების ვორკშოპი მოეწყო სახელწოდებით "ხელოვნების ზღვა". ეს მოვლენა ახალგაზრდა ორგანიზაციის "არტაქტივის" ორგანიზებულია, რომელსაც ნიკო ცეცხლაძე და ლუკა ზაუტაშვილი კურატორობენ. მათი პროექტები დედაქალაქიდან რეგიონებისკენ თანამედროვე ხელოვნებისა და მის ირგვლივ არსებული დისკურსების გატანას გულისხმობს. დეცენტრალიზაციის ასეთი მომენტები, იმის გარდა, რომ დემოკრატიის მოდელებს თანხვდება, მით უფრო საჭირო და მისასალმებელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე კულტურის დეფიციტი დედაქალაქის სიტუაციას მრავალგზის აღემატება.
ეს იყო ორკვირიანი პილოტი პროგრამა ფოთში, რომელიც მომავალ წელს ფართო მასშტაბით უნდა ამოქმედდეს. თუმცა ესკიზური სამუშაო შარშან უკვე ჩატარდა, წლევანდელი ვორკშოპი მაინც გაცილებით კონვერტირებადი იყო ჩვენი თანამედროვე ხელოვნების სტანდარტებისთვის. ვორკშოპის გახსნა 1 აგვისტოს სიმბოლურად დაემთხვა შავი ზღვის ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური ფესტივალის დაარსებას. ვორკშოპი საქართველოს კულტურის სამინისტრომ დააფინანსა და მას სხვადასხვა სახის სპონსორები და მხარდამჭერებიც ჰყავდა.
ფოთი - ეს ის ადგილია, სადაც ურბანული პოტენციალი ამკარაა, თითქმის არ არსებობს ქალაქის ინფრასტრუქტურა, ულტრა-თანამედროვე ხელოვნების მიმართულებებზე საუბარი კი ცოტა უტოპიურად ჟღერს, სადაც, უბრალოდ, არათუ გარემო და სათანადო სივრცე, თვით აუდიტორიაც კი დეფიციტია.
პროექტის მიზანი კი, როგორც აღვნიშნეთ, ის არის, რომ

საქართველოს დედაქალაქიდან მოშორებულ რეგიონებში სწორედ ასეთი გამაცოცხლებელი იდეები და ღო-ნისძიებები შეიტანოს, აღმოაჩინოს ის მხატვრები, რომლებსაც იძულებით კულტურულ იზოლაციაში უხდებათ ყოფნა და არანაირი ინფორმატიული გაცვლა არა აქვთ თანამედროვე ხელოვნების პროცესებთან. აუდიტორიაც ხომ, მნიშვნელოვანწილად, ასეთი ინფორმაციის ვაკუუმიის შედეგად არის გამქრალი.
ქალაქი ფოთი უზარმაზარ ტერიტორიაზე არის გაშენებული და მისი ცენტრალური მოედნისკენ 12 გზა მიემართება. ცენტრში ფოთელებმა საკუთარი 1904 წელს აშენებული საკათედრო ტაძარიც აღადგინეს, რომელიც კომუნისტების დროს თეატრს ჰქონდა დაკავებული და მისი რეკონსტრუქცია უკვე დასასრულს უახლოვდება. იქვე თეატრის ახალი შენობაც შენდება. რა თქმა უნდა, აქ არის პორტი, საზღვაო ინდუსტრიის ნაწილი და იდუმალებით მოცული პალიასტომის ტბა, რომელიც აქ მოხვედრილი ტურისტების ყურადღებას იქცევს. ეს ანტიკური ქალაქია, ფაზისი, სადაც მზის ღმერთის, ჰელიოსის მემკვიდრე მითიური მეფე აიეტი და ჯადოქრობით სახელგანთქმული მისი და, ცირცეა, ცხოვრობდნენ. აქედან გაიტაცა ოქროს საწმისი აიეტის ქალიშვილმა მედეამ და ბერძნებს გადასცა. ქალაქი თითქოს ამ წარმოსახულ და არარსებულ ანტიკურ დროშია გაჩერებული და აქ არც კომუნისტების უახლოესი პერიოდი იგრძნობა, არანაირი არტეფაქტი არ არის შემორჩენილი. უბრალოდ, ცარიელი ადგილია, სადაც ერთადერთი, რაც წარსულზე მიანიშნებს, მალთაყვის საკურორტო კომპლექსია თავისი ულამაზესი ვრცელი ბაღით, სადაც მრავალი სახეობის ხე და მცენარე ხარობს. მეორე კი ოქროს ტბის ჟანგიანი ხიდია, რომელიც 1991 წელს გამართულ სანიჩბოსნო საკავშირო ჩემპიონატს ახსენებს ზოგიერთს.

ვორკშოპის პირველი დღე

მონაწილეთა პროექტების გაცნობას დაეთმო, თუ რის განხორციელებას აპირებდნენ მხატვრები გამოფენაზე. ფოთელმა მხატვრებმა გრიგოლ ღვანიამ და ქეთი ჩეჩელაშვილმა საკუთარი და თავისი კოლეგების ესკიზები წარმოადგინეს, რაც ქალაქის ქუჩებისა და აუთვისებელი ტერიტორიების დეკორატიულ-არქიტექტურულ ჩანახატებს და იდეებს მოიცავდა. ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად ოფიციალური გამოცხადების პარალელურად ეს თემა მართლაც მნიშვნელოვანი გახდება მომავალში, ფოთის ურბანისტული განაშენიანების პროცესისთვის. ამ მხრივ `არტაქტივის~ საინიციატივო ჯგუფი უკვე გეგმავს კიდეც, რომ მომავალ შეხვედრებზე პროგრამაში ფართოდ ჩართოს არქიტექტორებიც, რომლებიც სწორედ ამ კუთხით მუშაობას და ურთიერთთანამშრომლობას დაუთმობენ დროს.
მომავალ წელს ვორკშოპი `ხელოვნების ზღვა~ უკვე ფესტივალად გადაკეთდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრები, როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად `არტაქტივის~ ხელმძღვანელებს უკვე აქვთ საქმიანი დიალოგი ქალაქის მერთან გოჩა ლემონჯავასთან და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელთან მერაბ ასანიძესთან, რომლებმაც წელს უკვე აღმოუჩინეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და ხელშეწყობა პროექტს. სასიხარულოა, რომ თანამედროვე ხელოვნების პროგრამას მრავალი სპონსორი და დამხმარე აღმოაჩნდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად: ფოთის პორტი, თი-ბი-სი ბანკი, კოკა-კოლა, ლოუენბრაუ, ნატახტარი... ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ოზურგეთიდან იყო, 17 წლის ელისაბედ გეგუჩაძე. ახალგაზრდა მხატვრისთვის, რომელიც ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში სწავლობს და სპონტანური აბსტრაქტული ხატვით გულწრფელად არის გატაცებული, ეს ვორკშოპი ერთგვარი კარი იყო, საიდანაც მას სასურველ სამყაროში შეუძლია გადავიდეს. გამოფენის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, სადაც მისი დებიუტი შედგა და სადაც ვორკშოპის პერიოდში გადაღებული ფოტოები იყო გამოფენილი, ის მუსიკოს ვაჟა ბექაურთან ერთად პანსიონატის ეზოში დადგმულ ყვავილების ურნებს ხატავდა.

ოქროს ტბაზე გადებული ჟანგიანი ხიდის (ბრუკლინის თუ მანჰეტენის ხიდის იმიტაციას რომ

მოგვაგონებს) მოხატვას ქუთაისელი ახალგაზრდა მხატვარი თეა სულაბერიძე, ცხადია, ვერ შეძლებდა, თუმცა მისი ერთი ბეტონის პოსტამენტი თეამ ლირიკული ფერწერის პანოდაც აქცია, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში დამსვენებლებს ახალისებდა, სანამ ფოთში ნანატრი წვიმა მოვიდოდა.
14 აგვისტოს შემაჯამებელი გამოფენისთვის კი თეამ პორტრეტები მოამზადა, რომლებიც არათანაბარი კიდეების მქონე მუყაოზე შეასრულა, ამ პორტრეტებში იქ მყოფი მეგობრები და მხატვრები ასახა, პალიასტომის ტბაზე გასეირნებისას თუ ვახშამზე, მაგიდასთან. თავის თავსაც ხატავდა ამ პორტრეტებში, მაგრამ ყოველთვის - ზურგით მნახველისაკენ. არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს ჟესტი, მაგრამ ნამდვილად პოეტური იყო - თითქოს ის ზურგს აქცევდა იმ უინტერესო სამყაროს, სადაც ხელოვნება არ არის და რაც ამ ვორკშოპის დღეების მიღმა კვლავ ძალზე რეალურია, ანდა ოცნებობდა, რომ ხელოვანსაც სჭირდება ვინმე გარეშე, ისეთი დამთვალიერებელი, ვინც მასაც მოაქცევს კადრში დახატულ კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად, როგორც ეს ფოტოს გადაღების დროს ხდება, უცხოს რომ ვთხოვთ ხოლმე გადაღებას.
მხატვარმა კატალინა ბაქრაძემ ფოთის სამხატვრო გალერეაში აუდიტორიის წინაშე საკუთარი ფილმები წარმოადგინა. ამ შეხვედრაზე საინტერესო იყო მხატვრის კომენტარები, სადაც ის საკუთარ მოტივაციებს და სამხატვრო კონცეფციებს გვიხსნიდა. ამავე დღეს იყო გურამ წიბახაშვილის ავტორისეული მცირე რეტროსპექტივაც, სადაც ფოტოგრაფმა არაფოკუსირებული ფოტოების სერიაზე ისაუბრა, რითაც ბოლო დროს იყო გატაცებული და რასაც ის ასაკობრივ მხედველობის დაქვეითებას უკავშირებს. მან ასევე სლაიდების სახით ნაპოვნი ფოტოების საინტერესო არქივიც გვაჩვენა, რაც მისთვის ტექსტისა და ფოტოს მეტაფორული ურთიერთობის ინსპირაცია გახდა, როდესაც ფოტოგრაფი ძველი ფოტოების შინაარს სხვა დამატებითი ტექსტობრივი შინაარსით აღჭურვავს. გურამ წიბახაშვილის საუბრები და ჩვენებები ყოველთვის მიმზიდველი და პოეტურია, აქ არ არსებობს არანაირი ერთფეროვანი ვაკუუმი და მართლაც ბევრი რამ პოულობს ურთიერთკავშირს.
გამოფენის გახსნაზე გამორჩეული იყო თემო ჯავახიშვილის ნამუშევრები `ტერ-არტი~ და ყინულის ბალიში. `ტერ-არტი~ ბატიბუტის კუსტარული ტექნოლოგიის გამოყენებით გაკეთდა. ოქროს ტბის ნაპირზე მხატვარმა სიმინდის მარცვლებით ნამუშევრის სახელწოდება განალაგა რკინის ლანგარზე, რომელსაც მერე ცეცხლი შეუნთო და ცოტა ხანში სიმინდის მარცვლებით დაწერილმა სიტყვამ აფეთქება დაიწყო. ბატიბუტის კონცეფცია თემო ჯავახიშვილს ადრეც ჰქონდა, 2005 წელს არტ კავკასიის ფესტივალზე, სადაც ერთად მოგროვილ სიმინდის მარცვლებს დინამიტის მავთული ჰქონდა გამობმული და ამ ნამუშევარს `პოპ-ტერორი~ ერქვა. ყველა ამ სიმბოლოდან გამომდინარე, მხატვარი თითქოს პოპ-არტს აპროტესტებს, როგორც იაფფასიან და დაუსრულებლად განმეორებად სატყუარას. პროტესტი მძაფრია, რადგან ეს ყველაფერი ტერორად არის გაფორმებული. საერთოდ, ნამუშევრებში ასეთი შინაარსების წაკითხვა, შეიძლება, მაყურებლისთვის დამღლელიც იყოს, მაგრამ თემო ჯავახიშვილის შემთხვევაში ასეთი შინაარსები ძალზე გამოკვეთილია საკუთარი სიმბოლოებით. ამიტომაც, ნეგატივ გვენტაძე ერთადერთი აუდიტორია აღმოჩნდა, ვინც დაუყოვნებლივ წაიკითხა ეს.

თბილისელ

ახალგაზრდა მხატვარს ანა სოფრომაძეს ყველაზე მეტი ფიზიკური შრომა მოუხდა. მისი დიდი ზომის და მოდელიორების ტუშით შესრულებული ესკიზების სტილში გადაწყვეტილი შავ-თეთრი ინსტალაცია ოქროს ტბის მიმდებარე ტერიტორიის პროპორციული შევსებისთვის იყო გამიზნული. მაგალითად, ამ უნიკალური დაჟანგული ხიდიდან ტბისკენ უნდა ჩამოკიდებულიყო შავი ფერის ფიგურები – კაცის, ქალისა და ძაღლის. სხვაგან, შენობის კედელზე ცოტა მომცრო ზომის დინოზავრი უნდა ყოფილიყო მიმაგრებული.
ამ საგნების მომზადებას და კარკასებზე დამონტაჟებას დღეები დასჭირდა, ხშირად 40 გრადუსიან სიცხეში, კოღოების თანხლებით, თაკარა მზეზე. საბოლოო ჯამში კი ძალისხმევამ გაამართლა - ექსპოზიცია შორიდანაც მკაფიოდ ჩანდა და მიუხედავად იმისა, რომ ფოთის მას-შტაბებისთვის ნებისმიერი სამხატვრო ჩარევა სივრცეში ზღვაში წვეთია, ამ ინსტალაციას ძალზე გამოკვეთილი და შთამბეჭდავი ხასიათი ჰქონდა.
ვორკშოპის დღეებში ასევე მოეწყო პოეზიის საღამო, მხატვარმა ილიკო ზაუტაშვილმა წაიკითხა ლექცია თანამედროვე ხელოვნების ზოგადი არსის ასახსნელად. 8 აგვისტოს ვორკშოპის მონაწილეები ქალაქის თვითმართველობის მიერ ორგანიზებულ 2008 წლის 8 აგვისტოს ომისადმი მიძღვნილ აქციას შეუერთდნენ და სახელდახელო სიმბოლური ბანერიც დაბატეს ომის თემაზე.
პროგრამას გასართობი დღეები და ივენთებიც კარგად ჰქონდა ორგანიზებული: 13 აგვისტოს მალთაყვის შავი ზღვის სანაპიროზე თბილისიდან მოწვეულმა დიჯეი ჟორჟიკმა ღამის ფართი მოაწყო. 14 აგვისტოს საღამოს კი ინგლისურმა ბენდმა "მოკინგბერდსმა" დაამთავრა ფოთის "ხელოვნების ზღვის" პროგრამა.

"მოკინბერდსის" დახურული კონცერტი ჯერ ფოთის იახტ-კლუბში მოეწყო, შემდეგ კი უკვე ფართო, უფასო ჩვენებით ფოთის ცენტრალურ პარკში განმეორდა. უნდა ითქვას, რომ რეპეტიციებზე თითქოს მეტი იყო დრაივი, რაც კონცერტს თითქოს აკლდა. ახლა ზუსტად ვერ ვხვდები, რას უნდა გამოეწვია ასეთი განსხვავება, შეიძლება იმას, რომ ეს ინდი როკის დეპრესიული ახალგაზრდული ბენდი უფრო სტუდიური ხასიათისაა? მართლაც, აქ რიტმ-სექცია ჩაწერილი იყო და კომპიუტერიდან იმართებოდა, სცენაზე მხოლოდ ერთი გიტარისტი ჩანდა, ზედმეტად ინტენსიური და მონოტონური იყო პირის ჰარმონიცა და ბლუზის და ამერიკული ფოლკის ეს ინსტრუმენტი ინდი როკის სტილს თითქოს არც ისე შეესაბამებოდა. რაღაც უხილავი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, რაც რეპეტიციებისა და კონცერტის ჟღერადობას ერთმანეთთან აშორებდა, რაც იმასაც მაფიქრებინებს, რომ მიზეზი შეიძლება ტექნიკური მოუგვარებლობა ყოფილიყო სცენის სივრცესთან.

ცარიელი სივრცე არტისტული დიზაინისთვის

18 მარტს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვატო წერეთლის კურატორობით პროექტი `ცარიელი სივრცე~ განხორციელდა. ამ ერთდღიანი გამოფენის თავდაპირველი დიზაინი ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივა იყო, რაც მიზნად ისახავდა თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ როდესაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იაფფასიანი მას-კულტურის გემოვნების ერთგვარი ტერორის ქვეშ იმყოფება, მომხდარიყო პოეზიის და საერთოდ ხელოვნების შეჭრა ასეთ მოულოდნელ ტერიტორიებზე.
გამოფენა ორ ნაწილად გაიყო. პირველი და ძირითადი ნაწილი სამხატვრო აკადემიისთვის დაიგეგმა, სადაც ექსპონატების წარდგენა არა ჩვეულ საგალერეო სივრცეებში, არამედ შენობის სხვა, არასაგამოფენო ადგილებში უნდა მომხდარიყო. ვთქვათ, დერეფნებში, აივანზე, ეზოში და ა.შ. საბოლოოდ, ამისთვის სამხატვრო აკადემიის ერთი ყველაზე მოძრავი და ტრანზიტული დერეფანი შეირჩა, სადაც დღის განმავლობაში მრავალ სტუდენტს უწევს გავლა. აქ გამოფენილი იყო მამუკა ჯაფარიძის, კოტე მინდაძის, დიმა დადიანის, გიორგი კეკელიძის, ვატო წერეთლის სამხატვრო და პოეტური ნამუშევრები.
გამოფენის მეორე ნაწილი კი თბილისის მეტროპოლიტენის სადგურებზე არსებული მონიტორებისთვის იყო გათვალისწინებული, რისთვისაც მამუკა ჯაფარიძის ნამუშევარი `სახელები~ შეირჩა. ეს ნამუშევარი მართლაც წარმატებული აღმოჩნდა თვით აკადემიის სივრცისთვისაც, სადაც ის გამოფენის ორივე კონცეფციას თვალნათლად ეხმიანებოდა – დაემყარებინა კავშირი ხალხთან და ყოფილიყო გარკვეულწილად პოეტური. ამისთვის მხატვრმა ვიდეო ფირზე აღბეჭდა კადრები, სადაც ნაჩვენებია ხეებზე და გარემოს სხვა ზედაპირებზე ადამიანების მიერ ამოჩხაპნილი საკუთარი სახელები, რითაც ისინი საკუთარი თავის და იქმყოფობის უკვდავყოფას ცდილობენ. ეს ერთგვარი ეგოისტური თუ

ეგზისტენციალური სკრაჩიტების სერია ასევე თანხლებული იყო აუდიო მასალით, სადაც მხატვარი ამ სახელებს იძახის ან შეიძლება ითქვას, რომ ეძახის ამ ადამიანებს. აკადემიის ეზოში გამაძლიერებელი მართლაც მოუხმობდა ამ ადამიანებს: `ზურა!~, `დავით!~, `ელენე!~, `მაია!~. მეც რამდენჯერმე უნებურად მივიხედე, როდესაც ეზოში ვიყავი. როდესაც დამთვალიერებლები შემოდიოდნენ გამოფენის დასათვალიერებლად, მამუკა ჯაფარიძე ზოგჯერ მოთამაშე ირონიით ეკითხებოდა მათ: `რატომ მოხვედით? დაგიძახეს? ~ცხადია, ეს ნამუშევარი მეტროს სადგურებზე მეტ დატვირთვას და ირაციონალურობას შეიძენს, სადაც ის მგზავრები გამოფენის ნახვას უკვე ნამდვილად ვეღარ მოახერხებენ და ერთადერთი შანსი ის იქნება, რომ თვითონ ამ დაძახებებში ამოიცნონ საკუთარი თავიც და თანამედროვე ხელოვნებაც.

ვატო წერეთელი, რომელიც აქვე, აკადემიაში ხელმძღვანელობს "კულტურის განვითარების კავკასიურ ცენტრს" ან მეორენაირად მაფ-ს (მედია არტ ფარმს), გამოფენაზე არქიტექტორ მიკა ყრუაშვილთან ერთად წარსდგა ნამუშევრებით, რომლის სახელწოდებაც იყო `ნაცარქექიას სახლი~. მხატვრები შეეცადნენ, განევითარებინათ ახალი სემანტიკის მითოლოგია ცნობილი ზღაპრული პერსონაჟის ატრიბუტიკის ირგვლივ. ვიზუალურად გამოფენის ეს მონაკვეთი ძალზე დამაჯერებელი და თხრობითი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი სიტყვა ან ილუსტრაცია არ ყოფილა გამოყენებული. თითქოს რამდენიმე სხვადახვა ზომის სურათით მოცემულ ამ საგამოფენო მონაკვეთზე რაღაც ქალაქი თუ რუკა იყო დახატული - ისტორიების, ფარული შინაარსებისა და ნაცარქექიას ზღაპრისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვის.

მხატვარმა კოტე მინდაძემ ორი დიდი ზომის ქაღალდზე შესრულებული ტექსტობრივი ნამუშევარი წარმოადგინა, სახელწოდებით "თვალები" და "გამოცანა", რომლებიც ბრინჯის ქაღალდზე კალიგრაფიულად ასახული ჩინურ პოეზიაზე წარმოქმნილა ალუზიას და სკოლის მოსწავლის დღიურის კონცეპტუალურ გამონაგონსაც წარმოადგენდა. ამ ქაღალდებზე კი ნამდვილი პოეტური ტექსტები იკითხებოდა, სადაც აღწერილი იყო სხვადასხვა ფერის თვალები, მათი სურვილები და ის, რომ თვალების უკან სულია ჩამწყვდეული.

პოეტი გიორგი კეკელიძე "ქსელური ალუზიების" ტექსტობრივი სერიით იყო წარმოდგენილი, სადაც ის იკვლევს ან ქმნის ინტერნეტთან და ემაილთან დაკავშირებულ შინაარსობრივ რიზომას, გამოგონილ მითოლოგიურ განტოტვებსა და ალუზიებს. ეს წმინდა პოეტური ტექსტები იყო, პრინტერზე ბეჭდვის შედეგად ოდნავ გადიდებული შრიფტებით და საბეჭდი მანქანის მონოტონურობის თუ პოეტური თხრობის ინტიმურობის ეფექტით.

მუსიკოსი დიმა დადიანი ფოტონამუშევრით წარსდგა დამთვალიერებლის წინაშე. მისი სერიულად განმეორებადი კადრი, სადაც ოქროს და იოლი სიმდიდრის სემანტიკის გარემოში გახვეული მამაკაცია გამოსახული. ნამუშევარს `ჩემი ოქრო ჩემთან~ ეწოდება და ნუვორიშული მერკანტილობის ერთგვარ სოციალურ თუ სულიერ კრიტიკასა და ამ სტატიის დასაწყისში ნახსენები მასობრივი კულტურის ცნობიერების ფსევდო ღირებულებების და მისგან წარმოებული მგრძნობელობითი ტერორის ერთგვარ დაცინვასაც წარმოადგენდა.

გამოფენაზე ჩემი ნამუშევარიც იყო ნაჩვენები, რომელსაც `ტყუპების თეატრი~ ერქვა და ვიდეო, ფოტო და ცოცხალი პერფორმანსის კომპონენტებისგან შედგებოდა. ერთადერთი ტექსტი, რომელიც აქ იქნა გამოყენებული, იყო ის, რომ გაკვირვებულ მაყურებლებს ერთი და იგივე შინაარსის ტექსტით ვუხსნიდი, რომ ეს ხელოვნური მოგლეჯილი ხელი, რომელიც ერთ ლარად ვიყიდეთ და რომელიც, აშკარაა, ჰალოვინის ატრიბუტიკას წარმოადგენს, ხელში იმიტომ მიჭირავს, რომ, სხვა ნივთებისგან განსხვავებით, მისი გადაღება დაგვავიწყდა და აქ პირადად მოვიტანე საჩვენებლად.
ბრიტანეთის საბჭოს ხელოვნების პრო-ექტების მენეჯერის მაია დარჩიასა და ვატო წერეთლის კურატორობით წარმოებული გამოფენა `თავისუფალი სივრცე~ დინამიურობით და ახალი დანიშნულებების ძიებით ავსებდა ერთ თავისუფალ ადგილს, რომელსაც აქამდე მხოლოდ დერეფნის ან ეზოს დანიშნულება ჰქონდა.

"ასიანი " გალაში

ბარათაშვილის ხიდთან ახლოს, სანაპიროზე, კორტების გადაღმა დაარსდა ახალი გალერეა "გალა". აპრილში კი მისმა მფლობელმა დედიკა ბულიამ ერთი საყურადღებო არჩევანი შემოგვთავაზა: თანამედროვე ხელოვნებაში მომუშავე ფერმწერის უშანგი ხუმარაშვილის პერსონალური გამოფენა. უშანგი ხუმარაშვილი ლირიკოსი ავანგარდისტია, რომელიც მიმდინარეობებს არაფრად აგდებს და ქმნის მაღალ ფერწერულ ხელოვნებას. 70-იანი წლებიდან დღემდე საკუთარი ექსპრესიული პერფორმანსებით და მორიდებული კონცეპტუალური გააზრებით უშანგი ხუმარაშვილი ერთ-ერთია, ვინც თანამედროვე ქართული ხელოვნების მთავარ მაგისტრალს ქმნიდა.
გალერისტმა დედიკა ბულიამ მხატვრის შესანიშნავად აწყობილი ექსპოზიცია წარმოგვიდგინა. გალერეაში ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრების აბსტრაქციონისტული სერიებია გამოფენილი, რომლებშიც თითქოს დიზაინი უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა ექსპრესიული მონასმებით აქ რაღაც ხმაურიანი ისტორიებიც იგულისხმება.
გამოფენას სახელად "ასიანი" ჰქვია და ძალზე

ტრივიალურად, ჩვენი დროისთვის კი მისაღები მერკანტილურობით იმას გულისხმობს, რომ აქ ყველა ნამუშევარს ერთი ფასი აქვს და 100 დოლარი ღირს.
ამ გამოფენით დამთვალიერებელს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ დაენახა უშანგი ხუმარაშვილი, რომელიც ამგვარად ქმნიდა ახალი დროის მგრძნობელობას და მხატვრის დღევანდელ მისწრაფებებთან კავშირებსაც უფრო თვალნათლივ წარმოისახავს.

არტ-პროცესი "გალერეა 9-"ში

2010 წელს გახსნილ `გალერეა 9~-ში, რომელიც გუდიაშვილის 9 ნომერში მდებარეობს და სიმპათიურ და კომფორტაბელურ სივრცეს წარმოადგენს, უნიკალური ჯგუფური გამოფენა შედგა - სახელწოდებით `არტ პროცესი~. აქ გამოფენილი ნამუშევრების ავტორები თბილისში მომუშავე კურატორები, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები ან კოლექციონერები არიან. ცხადია, რომ ეს მხატვარ იური ბერიშვილის მიერ ორგანიზებული რაღაც პოსტმოდერნისტული ექსპრომტი იყო, რომლითაც ამ ახალი გალერეის ბიოგრაფია დაიწყო.
გამოფენაზე ნაჩვენები იყო ბაია წიქორიძის, ვანდა მუჯირის, ქეთი კორძახიას, დავით ანდრიაძის, არჩილ დარჩიას, ზაირა ბერელიძის, ლიკა მამაცაშვილის, ია დვალის, მაია ნოზაძის, გია ჯამბერიძის, დავით მუშკუდიანის, ნინო გუჯაბიძის, ნიკა მაჭავარიანის, რუსიკო ოატის და თვით "გალერეა 9"-ს

კურატორის, მარინა ამზაშვილის ნამუშევრები - ანუ იმ პროფესიონალების, ვისი საქმიანობაც აქამდე მხატვრების ნამუშევრებზე იყო დამოკიდებული. ახლა კი, თუ გალერისტები ასე გადაწყვეტენ, მხატვრებს ნამდვილად ქუჩაში მოუწევთ დარჩენა. შეიძლება ეს რაღაც მინიშნებაა - "ხელოვნება ხელოვნებისთვის" თეზისის ახალი, საპირისპირო თეზისი - "გალერეა გალერისტებისთვის". ან შეიძლება იმ მცდარ შეხედულებას ადასტურებს, რომ ყოველი კრიტიკოსი ვერშემდგარი მწერალია, ანდა გალერისტი - ვერშემდგარი მხატვარი. არ მგონია, რომ ამ გამოფენას ასეთი ფარული სურვილების ასრულების მოტივაცია ჰქონოდა. ეს უფრო ერთი კარგი და გამახალისებელი თამაში გამოვიდა, რომელიც მართლაც სჭირდება ჩვენს სამხატვრო გარემოს. სასურველია, ასეთი თამაშის უფლება გალერისტებმა მხატვრებსაც მისცენ. ეს, შესაძლოა, ნეგატიური და საშიში სულაც არ აღმოჩნდეს. "გალერეა 9"-ს ნამდვილად კარგი მონახაზი გამოუვიდა და დანარჩენს კი, როგორც იტყვიან, დრო გვიჩვენებს. სწორედ დრო ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორია გალერისტებისთვის და საინტერესო იქნებოდა, სწორედ დროსთან, აქტუალობასთან და კონტექსტებთან მეტი მუშაობა, როგორც ამ ახალ გალერეაში, ასევე ზოგადად. რადგან დრო, ასე პირდაპირ, მხოლოდღა ფული არ არის, ის უფრო მყარი ვალუტის - ცხოვრებისა და მისი მშვენიერების ახალი წაკითხვების პირობაცაა.

გურამ წიბახაშვილის "კერძო მუზეუმში"

12 თებერვალს გალერეა ''ვერნისაჟი'' ახალ მისამართზე, ზუბალაშვილების 7-ში გურამ წიბახაშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა სახელწოდებით ''კერძო მუზეუმი''. ეს გამოფენა, პირველ რიგში, სტილისტურად იყო საინტერესო, რამდენადაც, მნიშვნელოვანწილად, წიგნის პრინციპით იყო წარმოდგენილი. შეიძლება ვინმემ ამას რეტროსპექტივა დაარქვას, მაგრამ გამოფენის ლირიკული და კამერული მასშტაბი ასეთ აკადემიურ თვალის გადავლებას თავიდანვე გამორიცხავდა. ეს უფრო კედლებზე გამოფენილი წიგნი იყო, სადაც ყოველი გვერდი არტისტის სხვადასხვა შემოქმედებითი პერიოდიდან იყო ამოღებული და ასეთ ერთიანობაში ახალ საგამოფენო კონტექსტს ქმნიდა. თანმხლები ფოტოები და ტექსტი კი ახალი მეტაფორების წყებასაც აჩენდა, რაც გურამ წიბახაშვილისთვის დამახასიათებელი კომპონენტია. დამთვალიერებელი აქ ნახავდა ჯოისის, რენე მაგრიტის, მან რეის, ნატურის, ქართული ფილმის და დასასრულის ციკლს და სხვ.
მთლიანობაში, ეს გამოფენა უფრო პოეტური იყო, ვიდრე - ფოტოგრაფიული. პოეტური, როგორც რაღაც ტექსტი. პირველად გურამ წიბახაშვილზე 25 წლის წინ მომიხდა დამეწერა, როდესაც გამომცემლობა `მერანის~ საგამოფენო დარბაზში ის ჯგუფურ ფოტოგამოფენაში მონაწილეობდა. თუ არ ვცდები, ეს გამოფენა გეოლოგიურ პეიზაჟებს ასახავდა. მაშინ, როდესაც მხატვარს არც ვიცნობდი და არც მქონდა წარმოდგენა, რომ მომავალში მასთან არაერთი თანამშრომლობა დამაკავშირებდა, სრულიად გულწრფელად აღვნიშნე, რომ ქართულ ფოტოგრაფიას ახალი სახელი შეემატებოდა. დღეს, როდესაც ამდენი დატვირთული წელი მიილია, გურამ წიბახაშვილი არ ღალატობს საკუთარ ტრადიციას, მოაგროვოს ცხოვრება და ადამიანების მდგომარეობები დროთა ცვალებადობაში და ის საკუთარ პოეტურ ტექსტებად დაალაგოს. თითქოს ფოტოგრაფია მხოლოდ წამს ან ერთ დღეს ასახავს. ამ ერთდღიანი გაელვებების კადრები იყო აქ წარმოდგენილი, როგორც არტისტის პირადი მუზეუმი და ის, რომ გამოფენა მხოლოდ ერთი დღე გრძელდებოდა, თვით ფოტოგრაფიის არსის თავისებურ მეტაფორას ქმნიდა.

გოეთეს ინსტიტუტი
28 ივნისს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა სემინარი `ხელოვნება საჯარო სივრცეში.~ შეხვედრას გერმანელმა კურატორმა პეტრა რაიხენსპერგერმა გაუწია კურატორობა და საღამოც სწორედ მისი მოხსენებით გაიხსნა. მან მოგვითხრო იმ გამოცდილების შესახებ, რაც მას სხვადასხვა ქალაქებში ფაბლიკ არტის კონტექსტში შეხვედრია. მან აუდიტორიას აჩვენა სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრების სლაიდები: კლეი ოლდენბურგის, ფელიქს გონზალეზ-

ტორესის, შარონ ჰაიესის, ლენა და ვიქტორ ვორობიოვის და სხვ. პროექტები.
საერთოდ, საჯარო არტს გონებამახვილობის ელფერი დაჰკრავს და მისთვის მშვენიერების კატეგორია აუცილებლად სოციალური ინტერაქტიურობის სიბრტყეზე იქმნება, ანუ ეს ნამუშევრები პერფორმატიულია, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთ დინამიკას არა თვითონ, არამედ მათ გარშემო არსებული ცხოვრებისეული კომტექსტი ქმნის. ფაქტობრივად, ეს საზოგადოებრივ სივრცეში კონცეპტუალური ხელოვნების დივერსიაა, საქართველოში კი ეს გამოცდილება მხოლოდ ცალკეული შემთხვევებისგან შედგება.

ამიტომაც, მცირე შესვენების მერე, საინტერესო იყო საქართველოში ფაბლიკ არტის თემა, რომელზეც არტ კრიტიკოსმა ხათუნა ხაბულიანმა ისაუბრა. ერთი ყველაზე ორგანიზებული ივენთი ამ კუთხით იყო პოლონელი კურატორის იოანა ვარშას მიერ შარშან განხორციელებული ბეთლემის პროექტი პოლონეთის არტ-ზონის პროგრამის დღეებში, 2009 წელს. მაშინ იოანა ვარშამ სცადა გაეცოცხლებინა თბილისის ეს ძველი უბანი და თანამედროვე ქართული ხელოვნება საცხოვრებელ სახლებში შეიტანა, რუკაც დაბეჭდა და 3 დღის განმავლობაში აქ მოსულ მაყურებელს არა მხოლოდ გამოფენები, პერფორმანსები და ინსტალაციები, არამედ ძველ თბილისთან ახლებური ინტეგრაციაც ელოდა. ხათუნა ხაბულიანმა ასევე გაიხსენა მამუკა ჯაფარიძის საზოგადოებრივი სივრცეების პერფორმანსები. მამუკა ჯაფარიძე თითქმის ერთადერთი არტისტია, ვინც ამ ფორმას სისტემატურად და ყველაზე მეტი ენთუზიაზმით მიმართავს. ხათუნა ხაბულიანმა მოგვითხრო მისი "ოპტიმისტიკური ტაქსისა" და "საუზმე ბალახზე" შესახებ. ეს უკანასკნელი, როგორც სურათებიდან დავინახეთ, რაღაც მხიარულ თეატრს ჰგავდა. მხატვარმა თავის მეგობრებთან ერთად რუსთაველზე, სახელმწიფო გალერეის უკანა მხარეს, ალექსანდროვის ბაღის დალაგება დაიწყო 1997 წელს, როდესაც ფესტივალი `საჩუქარი~ უნდა გამართულიყო და დედაქალაქის ეს ცენ-ტრალური ბაღი კი დაულაგებელი და უწესრიგოდ მიტოვებული იყო.
გურამ წიბახაშვილმა ცოტა თავისუფალი მოხსენება გააკეთა ამ თემის ირგვლივ, საკუთარ ფოტოკოლექციაზე დაყრდნობით. მაგალითად, მან შემთხვევითი ფაბლიკ არტის ფორმით მოგვაწოდა ის არტეფაქტები, რომლებიც მან წლების განმავლობაში თბილისის ქუჩებში მოაგროვა და გადაიღო. ის ამას სახალხო არტს უწოდებდა, რაც ძალიან საინტერესო ისტორიას ქმნიდა. ვიწრო გაგებით, ეს არ არის ფაბლიკ არტი, მაგრამ გურამ წიბახაშვილის მონათხრობი ძალიან სასიამოვნოდ აჩვენებდა არტეფაქტების პოტენციურ შინაარსებს და ძალიან საინტერესო იყო როგორც სანახავად და, ასევე, როგორც ნარატივი. ფოტოგრაფმა, რა თქმა უნდა, ქართველი არტისტების მიერ ამ სფეროში შექმნილი ნამუშევრებიც გვაჩვენა, მაგრამ ქალაქისა და მისი მოსახლეობის მიერ სპონტანურად შექმნილი ხელოვნების შესახებ დისკურსი შემოქმედებითი და ორიგინალური იყო.



არტისტული პრეზენტაციის ცალსახად გამოკვეთილი ფორმა ჰქონდა მხატვარ გიო სუმბაძის მოხსენებას, რომელიც მთლიანად მისსავე ნამუშევრებს შეეხებოდა. გიო სუმბაძე `გოსლაბის~ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო, ჯგუფის, რომელმაც გრაფიკული დიზაინის მარტივი ესთეტიკის პლასტი მიამატა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას. მან ჰოლანდიაში, ქალაქ ამჰემში განხორციელებულ საკუთარ პროექტზე სტ-აირ ცასე ისაუბრა, რომელიც ეკლესიის ლიფტს და სუპერმარკეტის ესკალატორს აკავშირებდა და სულიერებისა და მატერიალიზმის პოლარიზაციის საინტერესო კონცეფციას წარმოადგენდა. საქართველოს კონტექსტს შეეხებოდა ასევე ნინო ჭოღოშვილის, მაია ქოიავა-ყიფიანის და ნატა ვაწაძის გამოსვლები. ნაჩვენები იქნა ფილმი, რომელიც რუმინელი მხატვრის კრისტიან ლუსიან ჰამსეას თბილისის სამხატვრო აკადემიაში სტუდენტების ერთ ჯგუფთან ჩატარებულ უორქშოპს ასახავდა. აქ ჩანდა, როგორ შეიქმნა საგამოფენო ნამუშევრების სერია სტუდენტების მიერ

მთლიანად საჯარო სივრცეებში მოპოვებული რესურსების გამოყენებით.

ირინა აბჟანდაძის და გელა მეგრელიძის გერმანია
5 მაისს საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში ფოტოგრაფმა ირინა აბჟანდაძემ მუსიკოს გელა მეგრელიძესთან ერთად წარმოადგინა ფოტოგამოფენა `ტემპელჰოფიდან კარლ მარქსის გამზირამდე~. ბერლინი ორ ნაწილად - ნაციონალ-სოციალისტურ და სტალინისტურ ბანაკებად იყო გაყოფილი და, არქიტექტურის მხრივ, ამ ორი დიქტატურის დაპირისპირებაც და თანაარსებობაც აქ დღესაც თვალნათლივ ჩანს.

ირინა აბჟანდაძემ ძირითადად ფასადები გადაიღო, ხოლო გელა მეგრელიძემ აღმოსავლეთ ბერლინში დასახლებული ადამიანები და მათი საცხოვრებელი სახლების მყუდრო და მოდური ინტერიერები. ამ კონსტრუქტივისტული რემინისცენციის გამოფენით მხატვრები გვაჩვენებენ, რომ ბნელმა ისტორიამ ჩაიარა და ნაგებობები უბრალოდ ნაგებობებად დარჩა, მიუხედავად მათი იმდროინდელი იდეოლოგიური კონტექსტებისა.
ირინა აბჟანდაძე არ ღალატობს წმინდა ხელოვნების ნორმებს და დოკუმენტური და სტრუქტურალისტური ფოტოგრაფიის მედიუმს ნამდვილი და მოკრძალებულ თერაპიის ფორმად იყენებს.
მაყურებელი ეცნობა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის გაუქმებული აეროპორტის მიწისქვეშა სათავსოებს, რომლებიც ფაშისტური გერმანიის სადაზვერვო სამსახურის დაკითხვის ადგილებსაც წარმოადგენდა და გელა მეგრელიძის პროგრამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, მართლაც გასაოცარია ამ ოთახებში მხიარული გრაფიტებისა და ნახატების აღმოჩენა, კედლებს უწყინარად რომ ამშვენებს.
გამოფენის გახსნაზე არქიტექტორმა ლევან ლომინაშვილმა წაიკითხა მოხსენება ნაციონალ-სოციალისტური არქიტექტურის მნიშვნელობის შესახებ. ასევე უჩვენეს ნაწყვეტი ფილმიდან "მსოფლიო დედაქალაქი გერმანია".

საუკეთესო გამოფენები
24 ივნისს, ანუ როდესაც ჩვენთან კულტურული სეზონი უკვე დასასრულს უახლოვდება ხოლმე, "გალერეამ 9"-მ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოფენა შემოგვთავაზა. პირველ რიგში, ეს ექსპოზიცია იმით იყო საინტერესო, რომ აქ მხატვართა ანალოგაზრდა თაობის ერთი ჯგუფი მთლიანად ჩამოყალიბებული საგალერეო პლატფორმით და ახალი ესთეტიკური გადაწყობებით წარმოჩნდა. ამით კი, დამკვიდრებულმა თუ ახალგაზრდა მხატვრებმა საინტერესო გამოწვევა მიიღეს. მეორე ის არის, რომ გამოფენაში მონაწილე მხატვრებს ერთი წინააღმდეგობრივი ფაქტორი აერთიანებს - ისინი სამხატვრო აკადემიის



კურსდამთავრებულები არიან, მაგრამ მათი დიდი ნაწილი უდიპლომო მხატვრებს უწოდებს საკუთარ თავს. მიზეზი ის

არის, რომ, როგორც თვითონ აღნიშნავდნენ დისკუსიის დროს, ისინი თანამედროვე მხატვრობას სწავლობდნენ, მაგრამ დიპლომის შესრულებისას მაინც ფერწერა მოთხოვეს და საერთოდაც, დიპლომი, როგორც ფერმწერებზე, ისე უნდა გაცემულიყო. ახალგაზრდა მხატვარი და სამხატვრო აკადემიის ყოფილი პროფესორი და ერთ დროს რექტორის ოფიციალური მრჩეველი გიორგი კევლიშვილი ამ გამოფენით სერიოზულ განაცხადს აკეთებს, უკვე არა რეფორმებზე მოწოდებების ფორმით, არამედ თვით გამოფენის გამორჩეული ხარისხით. მხატვრები ამბობდნენ, რომ პუბლიკა მათგან ისევ მძაფრ სოციო-პოლიტიკურ განცხადებებს ელოდა და გამოხმაურებებით მიხვდნენ, რომ უნებურად იმედგაცრუებული დაუტოვებიათ, ვინც მათაგან ასეთ მორიგ შოუს ელოდა. სამაგიეროდ, მათ სხვა განაცხადი გააკეთეს, რომ მძაფრი ვნებებისა და აღელვებების მიღმა, მათი ხელოვნება და გამოფენის მოწყობის უნარი შედარებით ახალია, კლიშეებისგან თავისუფალი და პროფესიონალურ მოთხოვნებს საჭიროზე მეტად აკმაყოფილებს.

გამოფენის კურატორი გამოფენის მონაწილე ახალგაზრდა მხატვარი ქეთო ლოგუა იყო და საგამოფენო რეპრეზენტაციის წარმატებაში დამსახურების დიდი ნაწილიც სწორედ მას ეკუთვნის. თვით გამოფენის დასახელება, "შორის" ‚გუფის მიერ გაკეთებულ ორმაგ არჩევანზე აკეთებს აქცენტს – ერთი მხრივ, აქ ტრანზიტიულობაზეა გამახვილებული ყურადღება, რაც საქართველოში ორ დეკადიან გარდამავალ პერიოდს გულისხმობს, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებაზე, არამედ ხელოვნების პოლიტიკაზეც აისახება. მეორე მხრივ კი, რამდენადაც არ არის მითითებული ობიექტები, თუ რასა და რას `შორის~ ობიექტებზეა საუბარი, მათი კონცეფცია სწორედ ინტრანზიტიულობის განაცხადს აკეთებს, სადაც მთავარია სუბიექტი, სინტაქსი და მხატვრის აუთენტური ენა.

ეს ბოლო დროს გამართულ გამოფენებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც კარგად იყო აღჭურვილი ტექსტუალურად. ბროშურა, რომელიც გამოფენისთვის მომზადდა, გამოირჩევა ზუსტი და ლაკონური თხრობით, თანამედროვე სალიტერატურო ენით, რაც არა მხოლოდ მხატვრებისთვის, ხშირად ხელოვნებათმცოდნეებისთვისაც შესაშური შეიძლება აღმოჩნდეს. ბროშურას ხელს არავინ აწერს და ის ამით სოლიდარულ ენთუზიაზმს და კოლექტიურობას უსვამს ხაზს. საპროგრამო ბროშურიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ის არის, რომ მხატვრები პროტესტს უცხადებენ ყოველგვარ რომანტიკულ დეკორატიულობას, რაც ჩვენი მხატვრობის ისტორიის, როგორც ადრინდელის, ასევე ახლის, უმეტეს ნაწილს ახასიათებდა, ანუ მხოლოდდა განყენებულ ესთეტიკურ ტკბობას ფერითა და ფორმით, ტრაფარეტული შინაარსებით. მაშინ, როდესაც მშვენიერების საწყისი კრიტიკულ აზროვნებასა და, თუნდაც, პოლიტიკურ კრიტიკაში უნდა მოიძებნოს. ისინი თვით ავანგარდისტულ გატაცებასაც კი რომანტიკულს უწოდებენ, ისევე, როგორც ეჭვის თვალით უყურებენ დღეს მომრავლებულ საყოველთაო ინტერესს პერფორმანსზე, როგორც მხოლოდდა თანამედროვეობასთან შესატყვისობის სავალდებულო ფორმაზე. ამიტომაც, მართლაც ზუსტი სტრატეგია აღმოჩნდა, რომ გამოფენა მთლიანად ორგანზომილებიანი იყო და მხოლოდ კედლისა და სასურათე ზედაპირისგან შედგებოდა. თანამედროვე ხელოვნება სულ უფრო მატერიალური ხდება და დასანანი იქნება, თუ ის საშუალებები, რომლებიც ამ ტენდენციამ წარმოშვა, ახალი მატერიალიზმის საგნად იქცევა.

დემატერიალიზაციის საუკეთესო ექსპონატი იყო თეკლა ასლანიშვილის პორტრეტის სტენსილით შექმნილი 42 ფრაგმენტიანი პანო, რომლებიც სხვადასხვა ქართველი მხატვრის მიერ იქნა განხორციელებული ავტორის თხოვნით. მან დაარიგა საკუთარი პორტრეტის ტრაფარეტი, რათა მხატვრებს საკუთარი დამახასიათებელი ხელწერით შეევსოთ ის. აქ თითქოს დაკარგულია საზღვარი, თუ ვინ არის ავტორი, მაგრამ ამ 42 კლიშეს თეკლა ასლანიშვილის იდეა, ანუ არამატერიალური კომპონენტი აერთიანებს. მხატვარს თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ის, რაც ცნობილ ავტორში გაყიდვადია, მხოლოდ ბრენდინგია, მაშინ, როდესაც ნამდვილი სათქმელი ხშირად მაყურებლამდე ვერ აღწევს.

დაახლოებით ამ თემას ავითარებენ გამოფენის დანარჩენი

მონაწილეები. ქეთო ლოგუას ნამუშევარი "თეთრი კუბი" ლონდონის ცნობილ გალერეას სივრცით განზომილებას აცლის და სიბრტყეზე, დაშლილი კუბის სახით წარმოგვიდგენს, როგორც მინიშნებას მთავარი, ინტიმური შინაარსების დაკარგვაზე თანამედროვე ხელოვნების ინდუსტრიაში, სადაც, ვთქვათ, მეგა არტისტი დანიელ ჰირსტი და ასეთივე მასშტაბის არტ დილერი ჯეი ჯოპლინგი მუშაობენ. ეს თითქოს სათქმელის ახალი კულტია, მაშინ, როდესაც სათქმელის ყოველგვარი რომანტიკა და მასზე ნოსტალგია გაუქმებული გვეგონა. ალბათ, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის სწორედ ასეთ, მუდმივად დაუდგენელ პლასტსაც გულისხმობს გამოფენის სახელწოდება `შორის~.

გიორგი კევლიშვილი მხიარული, სასიამოვნო და სიმშვიდის ფერად პანოს ქმნის პირდაპირ გალერეის ერთ კედელზე, რომლებიც ფანქრების თავისუფალი გასმით არის განხორციელებული მისი დამახმარე არტისტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი კევლიშვილის სახელი რადიკალურთან და პროტესტთან ხშირად ცალსახად არის გაიგივებული, ეს ნამუშევარიც და თუნდაც ადრინდელი, მართლაც, რადიკალური პერფორმანსი, როდესაც მან ანესთეზიის ინექცია გაიკეთა გალარეაში 2005 წელს და მთლიანად გამოეთიშა გარემოს, პარადოქსულად სწორედ სიმშვიდეზე, ნამდვილ სოლიდარობაზე და რაღაც ყველასათვის ძვირფასზე შეგვახსენებენ. გიორგი კევლიშვილისთვის კი ეს სწორედ ძლიერი ბრენდინგი შეიძლება აღმოჩნდეს – პოლუსების ამბივალენტურობა, როდესაც დაპირისპირება და რადიკალურობა არაეგოისტურ ინტეგრირებაში გადაიზრდება, როგორ მხატვრის ჰუმანური ქმედების უტყუარი ნიშანი.

ნატალია ნებიერიძის "პალიმფსესტი" გადაწერების და ინტერტექსტის თემას ამუშავებს, მან საკუთარი მშობლების ნახატები გადააკეთა, გადაწერა და სხვადასხვა დეტალებით ჩაანაცვლა. გია ეძგვერაძის, როგორც ახალგაზრდა მხატვრები ამბობენ, სოლიდარობის ნიშნად გამოგზავნილი საგამოფენო ტექსტობრივი მასალა, ელექტრონული დისკუსიის ამონაწერი სახლწოდებით თთთ (თჰე თოტალ თჰირსტ), სწორედ ასეთი დემატერიალიზაციის უნებლიე ექსპონატად გარდაისახება.

მელანო სოხაძე ერთ-ერთი ანტი-კაპიტალისტური მანიფესტაციის შედეგად დამტვრეული ბილბორდების ფერად ფოტოებს გვთავაზობს, როგორც საგამოფენო სურათებს და კვლავ დეჰუმანიზაციის თემას შეეხება, უკვე სოციალური წინააღმდეგობის რაკურსში.

მოკლე მიმოხილვისთვის შეუძლებელია, ამ მართლაც შინაარსობრივად დატვირთული გამოფენის ღრმა ანალიზი ვცადოთ და ბოდიშს ვიხდით ავტორებთან, რომელთა ნამუშევრების დეტალების აღწერაც, თუნდაც მოკლედ, ვერ მოვახერხეთ. აღსანიშნავია, რომ გამოფენის მომზადებაში არტისტებთან ერთად სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ერთმა ნაწილმაც მიიღო მონაწილეობა, ზოგიერთი კი გამოფენის მონაწილეც გახდა. მაგალითად, თეო ბიჩინაშვილს, მესამე კურსის სტუდენტს, რომელსაც უკვე ჩამოყალიბებული ინტერესები აქვს, ნარატივისა და სერიულობის გადაკვეთის ხელწერის დეტალები ახასიათებს და გამოფენების პრაქტიკაც მისთვის ახალი არ არის.

გამოფენაში მონაწილეობდნენ: გიორგი ხანიაშვილი, თეკლა ასლანიშვილი, თეო ბიჩინაშვილი, მელანო სოხაძე, ნატალია ნებიერიძე, ქეთო ლოგუა, დავით კუხალაშვილი, გიორგი კევლიშვილი, გია ეძგვერაძე, ლადო დარახველიძე, გიორგი (გაგო) გაგოშიძე, ვაჟიკო (ჭჰატს), თორნიკე ჭაფოძე. ამ ახალგაზრდა მხატვრებს საერთაშორისო სერიოზული რეპრეზენტაციები უკვე გაკეთებული აქვთ ევროპის სხვადასხვა გალერეებში, მუზეუმებსა და ბიენალეებზე, და მაინც, იმედი გვქონდეს, რომ სასურველ კონტექსტს ისინი საქართველოშიც მალე შექმნიან და მოძებნიან.

თბილისის თოვლი ცარიელი არ არის

გალა გალერეაში კოტე სულაბერიძის გამოფენა `ცა თბილისის თავზე~ ერთ თვეს მიმდინარეობდა, ამ გამოფენით დაასრულა გალერეამ სეზონი და ამითვე შეეგება ახალ 2011 წელს. თბილისში წელიწადის ეს დრო, მიუხედავად მომატებული საზეიმო განწყობისა, ამდენადვე არამომგებიანია ხოლმე დამთვალიერებლის მოზიდვის მხრივ.

მთავარ დარბაზში გამოფენილი იყო თოთხმეტი ფერწერული ი ტილო, რომლებიც გამოჭრილი აპლიკაციების კონტურებს მოგაგონებდათ, ხოლო ცისფერისა და თეთრის ინტენსიური და არამოცულობითი პალიტრა კომპიუტერის ეკრანზე დანახულ

გამოგონილ რეალობას გვახსენებდა (არ ვიცი, იქნებ ფეისბუკის ინტერფეისის ფერებთან კავშირის გამო). მაგრამ ყველა ეს ნამუშევარი ნამდვილად ფერწერული ტილო იყო, სადაც ავტორი თითქოს ეძებდა, მოეძებნა ის იღბლიანი შუალედი, როდესაც უკვე ათასჯერ გამეორებული უბრალო მშვენიერებისა და ამდენადვე უკვე არაფრის მთქმელი კონცეპტუალური თავისუფლების ნამდვილი გადაკვეთა იქნება შესაძლებელი.
კოტე სულაბერიძის სახელი, მართლაც, ყოველთვის ამ ორ მიმართულებასთან იგივდებოდა ადრეც – დამაჯერებელ, ფიზიკურ ფერწერასთან და იდეურ, ასკეტურ კონცეპტუალიზმთან თანაბრად. ამ გამოფენაზე კი ეს ორი ვექტორი განსაკუთრებით გამოიკვეთა და ერთმანეთთან სრულიად არახელოვნური დაახლოება დაიწყო. გამოფენის დათვალიერება ნამდვილად გაზიარებდათ როგორც მშვენიერებას, ასევე უცნაურ და თბილ სიცარიელესაც, რითიც, გარკვეულწილად შედგებოდა ეს ნახატები.
ცალკე კიდევ ის სიახლე გამოიკვეთა, რომ კოტე სულაბერიძის ნამუშევრებში ტექსტი აღარ ფიგურირებდა, როგორც ეს ხშირად იყო ხოლმე ადრე. ტექსტი ამჯერად გარეთ აღმოჩნდა, სათაურებში - ხვეული კიბე, მუზა, ახალი ესტაკადა, შუქნიშანი, ცათამბჯენი, ზემელი, სატელევიზიო ანძა, ეკლესია, დაშენება, ხედი ჩემი სახლიდან, გამაფრთხილებელი ნიშანი – როგორც საყვარელი ქალაქის მთავარი ლექსიკონი, რომელიც მარტო დასახელებებითაც კი უკვე ნამდვილ პოეზიას ქმნიდა. ამ ერთგვარი ცუტ-უპ აპლიკაციების მიბაძვის მეთოდში - სადაც თბილისის მაცხოვრებლებისთვის კარგად ნაცნობი ნაგებობები და ქალაქის მონაკვეთები თითქოს ამოჭრილია სურათებიდან და მათ ადგილზე თეთრი ზედაპირები დარჩენილა, როგორც სარკმელი სიცარიელეში - ხედავ, რომ კოტე სულაბერიძესთან სიცარიელე განსაკუთრებით ლამაზია.
მეორე
დარბაზში
მხატვარმა

სპეციალურად საახლწლოდ დამატებითი პატარა ექსპოზიცია წარმოადგინა, ნაძვის ხის სათამაშოების მომცრო ზომის ფერწერული ტილოები ჩამოკიდა.
გალერეის ფასადზე ასევე გამოფენილი იყო წლის განმავლობაში აქ განხორციელებული გამოფენების აფიშები, რომლებიც არქიტექტორმა თაკო ვალიშვილმა გამოიყენა ფრონტალური ხედის ფართომასშტაბიანი დიზაინისთვის, რომელიც, როგორც გალერეაში მომსვლელებს, ასევე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოძრავი ტრანსპორტის მგზავრებსაც, გალა გალერეის მხატვრების საახალწლო კოლექტიური მისალოცი ბარათივით ეგებებოდა.
ოლეგ ტიმჩენკოს, როგორც ავტორიტეტის, პერსონალური გამოფენა სახელწოდებით `სფინქსი - საგანძურის მცველი~ გალა გალერეაში შეიძლება იმთავითვე მივიჩნიოთ რაღაც ირაციონალურ რეცეპტად, სოციალური კრიტიკის ინდიკატორად. ავანგარდთან ასე დაკავშირებული მხატვარი შეუძლებელია კრიტიკისგან შორს იდგეს. და თუ ის საკუთარ ფერიებს, სირენებს და ახლა უკვე სამკაულებს ასეთი ხაზგასმით ხატავს, ეს არ არის მხოლოდ სილამაზის ნაივური აღქმის უბრალოება, არამედ შეიძლება ორმაგი კრიტიკაც კი აღმოჩნდეს - უკვე არა მხოლოდ სოციალური ფონის, არამედ თვით იმ არტისტებისკენ მიმართული, რომლებიც დაუსრულებელი კონცეპტუალური გასასაჩივრებებით, ნიჰილისტური რეაგირებებითა და მართლაც წმინდა და უსაფუძვლო ნარცისისტული პოზირებით არიან დაკავებულები.
ოლეგ ტიმჩენკოს პერსონალური გამო-ფენა წარმატებული იყო. არ მახსენდება ბოლო პერიოდში გამოფენის გახსნაზე მოსული ამდენი დამთვალიერებელი. შეიძლება თბილისი პატარა ქალაქია, აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ და ყველა ყველას იცნობს, მაგრამ ტიმჩენკოს გამოფენის გახსნაზე მე ნამდვილად არ ვიცნობდი ყველას. ესეც ტრიუკია, აკეთო ისეთი ხელოვნება, რომელიც ყველას მოიზიდავს. ასეთი ტრიუკი კი ნიჭია – აკრიტიკებდე არა აქტივისტურად, სწორხაზოვნად, ლოზუნგით, არამედ ასე ირონიულად, შეფარულად, დახვეწილად, იმპერსონალურად. სწორედ ამ ჟანარით გახდა ენდი უორჰოლი ყველასგან გამორჩეული და ალბათ ნამდვილი ავანგარდის ყველაზე უტყუარი ნიშანიც ეს არის.
ოლეგ ტიმჩენკოს სკივრების, ბეჭდების, მძივების, გნომებისა და სარფიანი გარიგებების სცენების ეს გამოფენა, როგორც ფიროსმანს, შავ ფონზე აქვს დახატული. და ისევე, როგორც

ნიკო ფიროსმანთან, ან ენდი უორჰოლთან, აქაც ფიგურები ცარიელ სივრცეში გამოკიდებული აპლიკაციებია და ამით მათი სოლიპსისტური გამოვლინება დაუვიწყარი და შთამბეჭდავია. ოლეგ ტიმჩენკოს ეს გამოფენა იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ მისი ხატვის ძველი ხელწერა კვლავ ძალზე უშუალოდ ჩანს და არ არის დატვირთული რაიმე სიუჟეტზე ან კონცეფციაზე მინიშნებებით. ამ სურათებში სწორედ ოლეგ ტიმჩენკოს მაგიური კონტურების ხაზი და ამ ხაზების პალიტრაა ერთ-ერთი მთავარი გზავნილი.

დიახ, საქმე სწორედ პირიქითაა, ავანგარდში ხელოვნება სამკაული არ არის, თუნდაც ნახატში სამკაული ეხატოს და კარგად რომ დაუკვირდე, მას ვერც გამოიყენებ. ასეთი, თითქმის

შეუმჩნეველი ირონიის მქონე მხატვარია ოლეგ ტიმჩენკო. ის მიხვდა, რას ელოდებიან ადამიანები მხატვრობისგან და მათ ამ დახატული სამკაულებივით ძვირადღირებულ პოეზიას სთავაზობს.
გალა გალერეა სულ ახლახან გაიხსნა და მისმა მფლობელმა და კურატორმა დედიკა ბულიამ უკვე დაიწყო იმ ნიშის შექმნა, რაც შეიძლება ახალ, უფრო უკეთეს და დამსახურებულ ეპოქასაც უქადდეს საქართველოს სამხატვრო კულტურას. ეს გალერეა ხაზგასმით, უკომპრომისოდ და ელეგანტურად წარმოადგენს მაღალი გემოვნების თანამედროვე მხატვრობას და მისი უახლესი ისტორიის შექმნას იწყებს.
ზამთრის მიწურულს მამუკა სამხარაძის გამოფენა სახელწოდებით `და ასე შემდეგ...~ იქცევდა ყურადღებას თბილისის კულტურულ მოვლენებში. წელიწადის ამ დროს თბილისის კულტურული კალენდარი საკმაოზე მეტად ინერტულია. ნიშანდობლივია, რომ მხატვარი არ შეუშინდა ასეთ არახელსაყრელ გარემო პირობებს, რასაც იმ დღეებში სუსხიანი ქარი და უამინდობაც ემატებოდა, რადგან მისი შემოქმედებისთვის უცხო ნამდვილად არ არის არც ბუნება, როგორც ასეთი და არც ყოველდღიური თავშეყრის ადგილებისგან რეგულარული დისტანცირება.
დაცარიელებული შარდენის ქუჩა კი მხატვარს ნამდვილად ვერაფრით გააკვირვებდა. პირიქითაც მოხდა, მამუკა სამხარაძის გამოფენის გახსნით თბილისის ეს ფუფუნების მოყვარული უბანი ცოტა ხნით გამოცოცხლდა კიდეც.
მამუკა სამხარაძის ნამუშევრების ფოკუ-სში სივრცე და ლანდშაფტია. მისთვის მთავარი ფონი სწორედ ბუნებაა, რასაც მხატვარი თავის მიერ გამოგონილ ხელოვნურ, ჩაკეტილ და ლოგიკურ სტრუქტურებს ამატებს. მამუკა სამხარაძის გეომეტრიული ნამუშევრების სერიები რამდენიმე წლის წინ ნაჩვენები იყო მოსკოვში `ეკოტოპიის~ გამოფენაზე. ამჯერად კი, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის ნამუშევრების ზოგადი შინაარსი უსასრულობის ცნების ფიზიკური მასშტაბებით ილუსტრირებას გულისხმობს, აკადემიის ამ მომცრო გალერეაშიც სივრცე მაქსიმალურად ზუსტად იქნა ადაპტირებული იდეასთან. მხატვრმა გალერეა ერთ მონოლითურ კომპოზიციად გადააქცია.
გამოფენაზე წარმატებით განლაგდა მისი ერთი სერია, რომელიც თეთრ ზედაპირებზე ლურსმნებით აწყობილ სიმეტრიულ და პროგრესირებად კომპოზიციებს წარმოადგენს. მისი ასეთი კომპოზიციები ერთი წერტილიდან იწყება და თანდათან, ნამუშევრიდან ნამუშევარში სიმეტრიულად განიტოტება, მატულობს და რთულ ორნამენტულ ლაბირინთებად მთავრდება, რომლებიც მართლაც სასიამოვნო საყურებელია და ერთგვარი თერაპიული ზემოქმედებაც გააჩნია. თანამედროვე საგალერეო სივრცეში შემოტანილი ეს მანდალები რაღაც შუალედურ ადგილს იკავებენ ძველ აღმოსავლურ მისტიკურ ტრადიციებსა და მანდელბროტის მათემატიკის ხელოვნურ სამყაროსთან, რომელიც დღეს უხვად გვამარაგებს ფრაქტალებით, როგორც ხელოვნური ინტელექტის მშვენიერების ნიმუშებით.
სამხარაძის სიმეტრიული განშტოებები უსასრულობას გულისხმობს და გამოფენის სახელწოდებაც პირდაპირი მინიშნებაა ამაზე - "და ასე შემდეგ...". რომ არა წესრიგში მოყვანილი ეს ურიცხვი ლურსმნები და მათ შორის გაბმული ძაფები, ანდა მინდორში ბამბუკებით აწყობილი კომპოზიციები, აქ არაფერი დარჩებოდა, რაც დეკორატიული, მაგრამ მოსაწყენი სწორხაზოვნებისგან დაგვიცავდა. მხატვრის პირადი ღირებულებების ძიებისას, გასული საუკუნის მეორე ნახევრის მიმდინარეობის, ოპ არტის მიღმა, პირველი, რაც შესამჩნევია, სწორედ ბუნებისა და მასალის დეტალებია.

ამავე დროს, მამუკა სამხარაძის ნამუშევრები და ეს გამოფენაც იმას ადასტურებს, რომ თანამედროვე ხელოვნებაში რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უბრალოდ მასალაზე და ფორმაზე აქცენტიც არ არის. არც სინტაქსის დაშორებულ ნიშნებშია საქმე, როდესაც აქ ლოგიკა და ბუნება წინააღმდეგობრივი დაძაბულობის მხატვრულ ველს ქმნის. მამუკა სამხარაძის სამუშაო მექანიზმი იდეისა და აზრის უშუალოდ გადაცემის ესთეტიკაა, რასაც კონკრეტული ხელმოსაკიდი არც გააჩნია, მაგრამ ყველაზე უცხადესად გადმოსცემს თავისუფლებისა და სინამდვილის შინაარსს.

კოკა ცხვედიანმა ერთი წლის განმავლობაში აკრილით შესრულებული აბსტრაქციები გამოფინა `თიბისი~ ბანკის გალერეაში, მარჯანიშვილზე. მიუხედავად პალიტრის სიუხვისა და სიმკვეთრისა, ეს გამოფენა თითქოს აქრომატული და საკმაოდ მონოტონური იყო - უზარმაზარი სივრცის ორივე გაყოლებაზე გამოფენილი, ერთნაირი, სამომხმარებლო ზომიერი ფორმატის შუშის ჩარჩოებში ჩასმული სურათების უწყვეტი სერია, ერთნაირი ქარგა ნაზისა და ფორმის. თითქოს ერთი დიდი სურათი იყო დაყოფილი პატარა ნაწილებად. სურათების ასეთ დასაშვებ მონოტონურ მედიტაციურობას, ჩემი აზრით, არღვევდა სქელ მუყაოზე შესრულებული ემოციური ფერწერისა და შუშის ჩარჩოს სტერილურობის ურთიერთშეუთავსებლობა. თუმცა, მეორე მხრივ, შუშის და ფერწერის შეერთებით ეს შეიძლება საინტერესო ოპტიკური ექსპერიმენტი გამოვიდა, თვალისმომჭრელი - პირდაპირი მნიშვნელობით, ისე როგორც სტრუქტურალისტური კინო აკეთებდა ამას 70-იან წლებში.

გალა გალერეამ ორი პერსონალური გამოფენის გახსნა მოასწრო - ჯერ მიშა გოგრიჭიანის პერსონალური ფერწერული პროექტი იყო გამოფენილი, რომელიც მწევარ ძაღლებს შეეხებოდა და მხატვრის ამ იდიოსინკრაზიული აკვიატებით იმედს ან ნიშანს გვაძლევდა, რომ, დასავლეთის გამოცდილების მსგავსად, ისტორიის პრიმიტიულობის გზით კომფორტულად შევძლებდით მხატვრის მხოლოდღა ენობრივი ნიუანსებით ტკბობას. პროფესიონალიზმითაც და წარმოსახვითაც, მართლაც, კარგი გამოფენა აღმოჩნდა. თუმცა მხატვრისთვის თემის დაყენების ინტენსივობა არა მგონია, რომ საქართველოს რეალობაში, ასე თუ ისე, შესამჩნევია. გამოფენის გახსნაზე, შესაბამისად, დამთვალიერებლებისათვის უხვად იყო მონადირული შებოლილი ძეხვი და ლუდი.

15 ივნისს კი გალა გალერეამ წელს პერსონალური გამოფენების ციკლი მიშა შენგელიას გამოფენით "ლედი მაკბეტის ოფისი" დაამთავრა. მიშა შენგელიამ ექსპოზიციის ერთ საყრდენ წერტილად კონვერტების გარეკანები აიღო, სადაც გამგზავნის და მიმღების მისამართებია აღნიშნული. ეს მინიატურული ნამუშევრები მიშა შენგელიასთვის ახალი არ არის, მას ისინი საქართველოშიც აქვს გამოფენილი და საზღვარგარეთაც. მთავარი პოსტულატი ერთ-ერთი ასეთი საფოსტო ზედაპირიდანაა: "ღმერთი ლანჩის შესვენებაზეა, გთხოვთ დაელოდოთ". აქ შეიძლება იკითხება დარღვეული კომუნიკაცია სულიერებასთან, როგორც ადრესატთან, შეიძლება ეს უიმედო იუმორია, მაგრამ თუ მართლა ასეა, მაშინ ამ ნამუშევრების მინიატურულობიდან გამომდინარე პრობლემა მტკივნეულად დაპატარავებულია და სარკასტულ სახეს იღებს. მაგრამ მეორე საყრდენი წერტილი - თუ მასშტაბური ფონი - ის იყო, რომ მიშა შენგელიამ გამოფენა გალერეის კედლებზე განავრცო და ისინი სახატავ ზედაპირად გამოიყენა. ეს დახატული ინსტალაცია უდაოდ ლამაზი გამოვიდა, როგორც კარგად გაფორმებული საფოსტო კონვერტი და ყველაფერი ერთ მთლიან გზავნილად გადაიქცა. ეს უკვე აღარ იყო ირონიული და მყიფე იმედის ილუსტრაცია, არამედ - როგორც შემდგარი, დარწმუნებული და თბილი გზავნილის ფორმა, რომელსაც ადრესატიც რეალური ჰყავდა – თბილისის დამთვალიერებელი.

კრეატიულია, როდესაც გალერეა თუნდაც სეზონის დახურვაზე საკუთარ კედლებს სახატავად უთმობს მხატვარს და როდესაც სარემონტო განახლების ხარჯები სხვა ჩვეულ ხარჯთა რიგში დგას. ეს ამ გამოფენაზე ნამდვილად დადასტურდა.

კოტე მინდაძემ, მხატვარმა, რომელიც საქართველოშიც მოღვაწეობს და ჰოლანდიაშიც და კონცეფტუალისტური ხელწერით გამოირჩევა, გალერეა 9-ში წარმოადგინა პერსონალური ექსპოზიცია, რომელსაც კალეიდოსკოპურობაზე და ეკლექტიკურობაზე ჰქონდა აშკარა ხაზგასმა. მიუხედავად იმისა, რომ კონცეფტუალური

ხელოვნება ყოველთვის რაღაც ფილოსოფოგემურ ნარატივს გულისხმობს, აქ წარმოდგენილი ნამუშევრები და მათი ერთიანობაც უფრო დიზაინზე და პირადი გემოვნების კატალოგიზირებაზე გვიგზავნიდა მინიშნებას.

ფიროსმანის დღეები საქართველოში

19 ოქტომბერს

საქართველოსა და გერმანიის თანამშრომლობით უკვე მესამედ გაიხსნა ფიროსმანის დღეები `შეხვედრა ფიროსმანთან~, რომელიც მოიცავს გამოფენას და ლიტერატურულ საღამოებს. პროექტს 2006 წელს ჩაეყარა საფუძველი და მისი ინიციატორი ბერლინელი მოქანდაკე ჰანს შაიბი იყო. ფესტივალის სპეციფიკა თავიდანვე ისე განისაზღვრა, რომ ყოველი მონაწილე შემდეგ წელს თვითონაც ხდება თანაორგანიზატორი და უკვე თვითონ იწვევს მონაწილეობის მისაღებად სხვა დაინტერესებულ ხელოვანებს. როდესაც ასეთი მიდგომა თავისებურად ანორციელებს ნიკო ფიროსმანაშვილის აუხდენელ ოცნებას საერთო სახლზე და ჩაის მაგიდის გარშემო შეკრებაზე, მეორე მხრივ ფესტივალის მიზანი სწორედ ფიროსმანის პოპულარიზაციაა, რაც მისი შემოქმედებით და ასევე ქართული ისტორიული თუ დღევანდელი გარემოთი დაინტერესებული ადამიანების მოზიდვას და მათთვის შესაბამისი პროგრამების შექმნას გულისხმობს.
პროექტი, რომლის ორგანიზატორიც საქართველო გერმანიის საზოგადოებაა, იმდენად პოპულარულია, რომ მონაწილეები საკუთარი ხარჯით ჩამოდიან საქართველოში. უშუალოდ კი მას მხატვარი გოჩა ღულელაური ხელმძღვანელობს. უცხოელი და ქართველი ხელოვანების ურთიერთობა ამ პროექტში მართლაც ჩაის მაგიდის გარშემო შეხვედრას ჰგავს - საუბრები უშუალოა, ჩნდება მრავალი სხვადასხვა გამოფენისა და პროექტის ინდივიდუალური იდეა, წარმოიქმნება დისკუსია ხელოვნების ირგვლივ, სადაც, მართლაც ძალდაუტანებლად, ისევ და ისევ წინ გამოდის ხოლმე ფიროსმანის სახელი.
ბერიტ ცემკემ, ბერლინელმა ვიდეო არტისტმა საკუთარი ნამუშევარში საწყის ელემენტად სწორედ ფიროსმანის მიერ დახატული თევზი აიღო. მან თქვა, რომ ფიროსმანის ნახატები იკონოგრაფიულია, მისი ადამიანებიც და ცხოველებიც ხატებია და რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ხედვა ცხოვრების. ამ ინსპირაციით მისი ვიდეო ეკრანი სამ სეგმენტად იყო გაყოფილი, როგორც სამების სიმბოლო, რაც ისევ ფიროსმანის ღრმა რელიგიური მოტივებიდან მოდის.
ბერიტთან ერთად თბილისში ოცზე მეტი გერმანელი არტისტი ჩამოვიდა. საქართველოდან მათ შეუერთდნენ ნიკო ცეცხლაძე, თამაზ ვარვარიძე, ლია შველიძე, ავთანდილ პოპიაშვილი, თემო ჯავახიშვილი, ირა კურმაევა და სხვ.
პირველ დღეს გოეთეს ინსტიტუტის კაფეში ლიტერატურული საღამო მოეწყო, სადაც ჰელგა კურცხალიამ საკუთარ წიგნზე და პროექტზე ისაუბრა, ხოლო გუდრუნ ლეემანმა აქ დანიილ ჰარმსის თემაზე ლიტერატურული პერფორმანსი წარმოადგინა.
მეორე დღეს თბილისის ისტორიის მუზეუმში, ქარვასლაში გერმანელ და ქართველ მხატვართა გამოფენა `ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება~ გაიხსნა, სადაც ფიროსმანის რამდენიმე ორიგინალიც იყო გამოფენილი. გამოფენა ძალზე ხარისხიანი აღმოჩნდა, როგორც ნამუშევრების მხრივ, ასევე თვით ექსპოზიციის განლაგებითაც. ის დამთვალიერებელს სასიამოვნო, უშუალო და თბილ გარემოს უქმნიდა. გაბრიელა ჰელფის, მარტინ კოლდენის, მარიონ შტილეს, პიუს ფოქსის, რობერტ შმიდტ-მატის, ანგელა ფენშის ფერწერული, სკულპტურული და ფოტო ნამუშევრები როგორც მაღალი ფორმალური ხარისხით, ისე საინტერესო შემოქმედებითი ძიებით და ხედვით იყო აღბეჭდილი.
პროგრამით ასევე წარმოდგენილი იყო კორნელია კლაუსის,

შტეფან მალტე ჰომბერგის, ფატმირ რასიმის და ბერიტ ციმკეს ფილმები. სტუმრები ქართველ მხატვრებთან ერთად მირზაანსაც ესტუმრნენ, სადაც ფიროსმანი დაიბადა, დაათვალიერეს სიღნაღის მუზეუმი, საქართველოს სხვა კუთხეებიც მოინახულეს და თბილისობის დღესასწაულსაც ჩამოუსწრეს.

არტისტერიუმი 3 თბილისში

არა მხოლოდ იმიტომ, რომ ანალი ხელოვნების ესთეტიკა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ღირებულებით უმცირესობას და ანდერგრაუნდს წარმოადგენს ჩვენი ოფიციალური გემოვნებისთვის - თანამედროვე ხელოვნება აქ იმიტომაც შეიძლება არსებობდეს მხოლოდღა პროექტებისა და სუბსიდიების დონეზე, რომ სხვანაირად არანაირი მარკეტინგული ბაზისი და მიმოქცევა არ გაგვაჩნია. ასეთ შემთხვევაში, ისეთი საერთაშორისო ფორუმის გახსნა, როგორიც არტისტერიუმია, არა მხოლოდ უცხოელი მხატვრებისათვის ხდება მიმზიდველი და ეგზოტიკური, არამედ ადგილობრივი არტისტებისთვისაც წელიწადში ერთხელ აღთქმულ სულისმოსათქმელ ერთკვირიან ოაზისად გამოჩნდება ხოლმე. თანამედროვე ხელოვნებაზე სპეციალიზებული გალერეები ჩვენთან არ არის, თუ არის, იქიდან ორი მხოლოდ წელს ან შარშან გაიხსნა (გალერეა 9 და გალა გალერეა), არტისტერიუმშის კატალოგშიც არცერთი მხატვარი არ არის რომელიმე გალერეის მიერ წარმოდგენილი, როგორც მისი საკუთარი არტისტი. ანუ არტისტებზე შესაბამისად პასუხსაც არავინ აგებს როგორც კლასიფიკატორი. და, შესაბამისად, იმის საშიშროებაც არ იქმნება, რომ ასეთი ღია კარის ღირებულებების სიტუაცია რომელიმე არარსებულ მარკეტს სერიოზულ ფინანსურ არეულობას შეუქმნის. როგორც ჩანს, იმაშიც, რომ ყველაფერს საკუთარი სახელი დაერქვას, კაპიტალი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება, თუ ასეთი რამ როდისმე განხორციელდა ჩვენთან, ასე თუ ისე უახლოეს მომავალში.

ფანტაზიორობას რომ თავი დავანებოთ, არტისტერიუმი, რომელიც წელს მესამედ ტარდება და, პრინციპში, სულაც არ არის ბაზარი, არამედ უბრალოდ საერთაშორისო გამოფენაა მხატვრებისთვის, ერთი დიდი გალერეაა, სადაც მათ შეუძლიათ ერთმანეთის ნამუშევრებს გაეცნონ, შექმნან დისკუსია თანამედროვე ხელოვნების დღევანდელი ეტაპის საერთო მახასიათებლებზე და დამთვალიერებელს მრავალფეროვანი და ორგანიზებული გამოფენა შესთავაზონ. ამ ბოლო პუნქტს საგანმანათლებლო ასპექტიც შეიძლება მიემატოს, რაც გულისხმობს მოუმზადებელი მაყურებლისთვის არტისტული კონცეფციების დეტალურ განმარტებებს, არტისტებთან საუბრების გამართვას, ორგანიზებულ ტურებს ექსპოზიციის გასაცნობად. სხვა თუ არაფერი, როდესაც მარკეტი არ არის, მაშინ ალბათ აუცილებელიც ხდება ამ დეფიციტის შევსება შემეცნებითი და საგანმანათლებლო პლასტით. ეს საკითხი 2008 წელს, პირველი არტისტერიუმის დროს მოწყობილ კრიტიკოსებისა და კურატორების მრგვალ მაგიდაზე ნიუ იორკის პარსონსის დიზაინის სკოლის დეკანმა ლიდია მეთიუსმა წამოჭრა. მან მოიტანა მაგალითი, რომ თვით დღევანდელ ამერიკაშიც კი თანამედროვე ხელოვნების გამოფენებზე ხშირად საშუალო სკოლის მოსწავლეებს ანდა უბრალოდ მეზობელ მოსახლეობას სთავაზობენ გიდით თანხლებული სპეციალური დათვალიერების პროგრამებს. იმისთვის, რომ ასეთმა მასშტაბურმა გამოფენამ რეალური სოციალური ფუნქცია არ დაკარგოს, მან არა განყენებული და გაუგებარი ელიტარულობის იმიტაცია უნდა შექმნას, არამედ რეალურად უნდა შეძლოს დაიკავოს საკუთარი ადეკვატური ადგილი დღევანდელი საქართველოს რეალურ კონტექსტსა და საზოგადოებაში.

ამ კუთხით ძალზე მახვილგონივრული აღმოჩნდა მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოს დაუგეგმავი პერფორმანსი, როდესაც ის გახსნაზე ლიმუზინით და გაძლიერებული დაცვის თანხლებით მივიდა. შავი ფერის კოსტიუმებიანი სიკურიტის ფონზე მას რუხი ფერის კოსტიუმი ეცვა და სრული სამსახიობო მონაცემებით შეეძლო შემოევლო ქარვასლის თბილისის ისტორიის მუზეუმის ყველა სართული და ოთახი. ის, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, ყველამ ვიცოდით – არტისტებმაც, კრიტიკოსებმაც, სტუდენტებმაც, გარეთ შემთხვევით გამვლელმა თუ გამოფენაზე მოსულმა ადამიანებმაც. ასეთ დროს, როცა ასეთი კარნავალური მნიშვნელოვნებაა წინ წამოსული, არავის სცალია სხვა რამისთვის, გარდა ერთმანეთისა. ოლეგ ტიმჩენკოს პერფორმანსმაც სწორედ ამ თვითრეფლექსიურ მნიშვნელოვნებას გაუსვა ხაზი, უბრალოდ უფრო გააძლიერა ის და სანამ ყველა გონს მოეგებოდა და გაუცნობიერებლად მნიშვნელოვნების ამ ერთი დამატებითი დღესასწაულის სპექტაკლს შეტრფოდა, ალბათ მხოლოდ ის თუ ჩათვალეს, რომ ოლეგ ტიმჩენკო სეკურიტის და VIP-ს დასცინის; ანდა საერთოდ არაფერიც არ ჩათვალეს და იფიქრეს, რომ ოლეგ ტიმჩენკოს რაღაც სულელური აკვიატება ან განდიდების ფარული მანია აქვს. ამასთან, ისიც, რომ ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევარი გარედან შემოსული უცხო სხეული იყო გამოფენის პროგრამისათვის, სწორედ ჩვენში არსებული თანამედროვე ხელოვნების რეალურ სტატუსზე პირდაპირ მიუთითებდა. როდესაც მხატვარი ასე ლაკონურად და ზუსტად ახერხებს შექმნას შინაარსობრივი წინააღმდეგობებით და ამბივალენტური ირონიით აღჭურვილი, მაგრამ მწყობრი სტრუქტურით აგებული პერფორმანსი, ეს მხოლოდ მისი სამხატვრო რეალიზაციის მასშტაბზე მიუთითებს. აქ მას უკვე კრიტიკის ობიექტიც აღარ გააჩნია, ასეთი ნამუშევარი ტრანსცენდენციას ახდენს, როგორც საკუთარი ობიექტის, ასევე იმ სოციალური კრიტიკის, სადაც მისი ათვლის წერტილი იყო თავიდან. ასეთი პერფორმანსის მერე ყველაფერი ისტორიის მიღმა დარჩენილ ნახატს ჰგავს, ამბავად განხორციელებას ძალაუფლების რაღაც სიმულაკრისა თუ სტრუქტურის. მისი წლევანდელი "სამკაულის"გამოფენის მსგავსად ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევრებში დეკორატიული პომპეზურობისა და უწყინარი კლოუნადის მიღმა ხშირად აუთენტური ავანგარდისათვის დამახასიათებელი მძაფრი სოციალური კრიტიკა და საგანთა ღვთაებრივი სოლიპსიზმი იმალება.

ასეთი სტრუქტურალისტური პერფორმანსის მერე ამერიკელი არტისტის ლედოს პერფორმანსი უბრალოდ თეატრალურ წარმოდგენად მოჩანდა, რომელიც დროში ფაქტიურად იგივე მონაკვეთს იკავებდა გამოფენის გახსნაზე. ლედო 2008 წელს თბილისში იყო და წელს უკვე მეორედ იღებდა მონაწილეობას ამ თბილისურ გამოფენაზე. ლედოს პერფორმანსი არის ბუტოს ტიპიური წარმოდგენა, რომელიც მართლაც ძალიან უხდება საგამოფენო სივრცეს, ან ქუჩას, უფრო მეტად, ვიდრე თეატრის სცენას მოუხდებოდა. ბუტო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 50-იან წლებში დაიბადა იაპონიაში და თანამედროვე და პოსტმოდერნისტული ქორეოგრაფიის და საცეკვაო თეატრის განუყოფელ ნაწილად იქცა. მოძრაობების უკიდურესი შენელების გზით მისი ფილოსოფია ეყრდნობა სხეულის მიმართ მაქსიმალური ყურადღებისა და დეტალური გაცნობიერების მიღწევას, ერთგვარ სხეულებრივ საკრალურ დესტრუქტურიზაციას, რაც მაყურებელზეც შესაბამის ეფექტს ახდენს. ასეთი შენელებული მოძრაობების დროს მოცეკვავის სპონტანური ტრაექტორიები თითქოს ძალზე ხანგრძლივი, მოსაწყენი და დამღლელი უნდა გახდეს, სინამდვილეში კი, პირიქით, აქ დრო საერთოდ კარგავს ფუნქციას და ყველაფერი ერთ მოულოდნელ და სიზმარივით სწრაფ ისტორიად გადაიქცევა. როგორც წესი, ბუტო ხშირად ტაბუ დადებულ თემებს იყენებს საკუთარ ამოსავალ წერტილად. ამ შემთხვევაშიც არტისტმა სკამიდან დაიწყო მოქმედება და მინიშნებაც პირდაპირი დასვა - ონანიზმი და პრივატული ეროტიკული ტერიტორია. მიუხედავად ამისა, მას, და მერე უკვე სკამზე დატოვებულ ხელოვნურ ფალოსს, რამდენიმე ფოტოკამერა დაჟინებით უთვალთვალებდა. თეთრი გრიმით დაფარული ლედო ცდილობდა გაქცეოდა ამ გაუჩერებელ კონტროლს, არა მხოლოდ კამერების, არამედ მის თავს ზემოთ წამომართული იარუსებისაც. ერთ ფოტოგრაფ გოგონას უცბად

გამოეკიდა კიდეც, სულ ოდნაც მოუმატა ტემპს და ეს ახალგაზრდა ქალი დამფრთხალი გაიქცა და ცდილობდა ხალხში დამალულიყო, რადგან ლედოს ექსპრესია ნამდვილად გამოკიდების და დევნის ჰქონდა. მოკლედ, მართლა რაღაც სიზმარს დაემსგავსა ეს ყველაფერი. ზოგს ალბათ ეგონა, რომ ეს პანტომიმა იყო, სინამდვილეში კი მათ ბუტოს ოსტატის შესანიშნავი ნამუშევარი იხილეს. თუ წლევანდელი არტისტერიუმის გამოფენის თემას `წარმოიდგინე მომავალი~ გავითვალისწინებთ, ლედო აქ მეტი შინაგანი და კერძო თავისუფლებისა და საზოგადოებისგან ინდივიდის დადანაშაულების შემცირებისკენ მოგვიხმობდა. ევროპის სახლში ფოტოგამოფენის დროს აივანზე ერთად აღმოვჩნდით და ვკითხე, მიაჩნია თუ არა მას ბუტოდ, რაც თბილისში წარმოადგინა. მან მიპასუხა: "ოჰ, დიახ, მაგრამ ბოლო დროს ვცდილობ, უფრო ვიდეო არტი გავაკეთო" - თითქოს მობეზრებული ჩანდა ამით და რაღაც ახლის მოლოდინში იყო. ასე რომ, საკუთარი მომავალი ლედოსაც უკვე წარმოდგენილი ჰქონდა და ალბათ ამ სფეროშიც ის საკუთარ ბრწყინვალე პერფორმატიულობას ვერ შეელევა.
ნამუშევარი, რომელიც ცენტრალურ ოთახში კედელს მიღმა არსებულ პატარა სივრცეში აღმოჩნდა, განსაკუთრებულ ხაზგასმას იმსახურებს, როგორც ყველაზე ფერწერული და ყველაზე გაბედული ექსპონატი. ბერლინელმა მხატვრმა ჰაინერ მულენბროკმა პროვოკატიული და უაღრესად ცოცხალი ნამუშევარი შესთავაზა თბილისურ გამოფენას. "სექსი საოჯახო ხელსაქმე ხდება" – ასე ერქვა მის ფოტო ინსტალაციას, რომელიც პირდაპირი არტეფაქტების კოლექცია იყო ინტერნეტში ნანახი სექს ჩატებიდან და პრივატული ეროტიკული ალბომებიდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მაცხოვრებელი ქალებისა და დიასახლისების. ჰაინერ მულენბროკი საკუთარი თავის ძიების, იდენტურობის თემას ეხება, ხოლო მისი კედელი სათვალთვალო ტელევიზიის დახურული სისტემის მონიტორების იმიტაციით წითელი და ლურჯი სპექტრის შესანიშნავ ფერწერულ პანოს ქმნიდა. ამ ფერებს იყენებდა ამერიკული ბურლესკი და პინ-აპი 50-იან წლებში, ხოლო დღეს აქ უბრალოდ დიასახლისი ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი ქალები არიან წარმოდგენილნი, რომლებიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ საკუთარი სასიცოცხლო ენთუზიაზმს აყოლილნი საკუთარი ბინებიდან ანონიმურ შიშველ სხეულებს, საკუთარ დეკორაციებს და არამასობრივ ეროტიკულ დიზაინს სთავაზობენ ინტერნეტის ასევე ანონიმურ და უხილავ მსოფლიო მომხმარებელს. სტატისტიკის მიხედვით ინტერნეტის გამოყენების 95 პროცენტს სწორედ ეროტიკული მოტივაცია შეადგენს. ერთნი უთვალთვალებენ, მეორენი კი, ლედოს კონცეფციისგან განსხვავებით, სწორედ ამ თვალთვალის მოსურნენი არიან. მოწყენილობისა და ერთფეროვნების ფონზე საკუთარი თავის პოვნის და დადგენის სურვილი, როგორც ჩანს, ისევ აკრძალულ და საშიშ ტერიტორიებს ეხება, სადაც სექსუალობა სულაც არ არის ბოლო ადგილზე. ასეთი თემატიკა ყოველთვის მიუღებელი და დეკადენტური იყო და დღევანდელი რეაბლიტაციების მიუხედავად, მაინც ასეთად რჩება თანამედროვე ხელოვნების კრისტალური მორალური სიცარიელითა და ნეტარი სისუფთავით შეპყრობილობის ფონზე. ისევე, როგორც ოკულტურა (ოკულტისტური და უხილავის თემატიკით მკვეთრად განპირობებული ხელოვნება, სადაც კენეთ ანგერი ერთადერთ აღიარებულ არტისტად რჩება) ანდა მაქსიმალურად არამატერიალური, ტელეპატიური არტი (რაც მარინა აბრამოვიჩის და კიდევ რამდენიმე ერთეული არტისტის მნიშვნელოვანი ინოვაციაა თანამედროვე ხელოვნებაში), სექსუალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ღია დამოკიდებულება მიუღებელ ტონად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალობის ყველაზე მძაფრი და უკიდურესად ბრუტალური სახეებით დატვირთული 70-იანი წლების ვენის აქციონიზმი (ოტო მიული, ჰერმან ნიჩი) რამდენიმე წელია, ლუვრის დონეზეც ქმნის უკვე პრეცედენტს. შეიძლება ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ თანამედროვე ხელოვნებას, მიუხედავად და შედეგად პოსტმოდერნისტული უსაზღვრო ღიაობისა, უჭირს, დაუბრუნდეს აუთენტური და არქეტიპული სიმბოლოების დიდი ხნის წინ დავიწყებულ სამყაროს. სიმბოლოების ენის გარეშე კი ეს თემატიკა, რასაც სექსუალობა და ადამიანისთვის ასე უმთავრესი თვითიდენტიფიკაცია ჰქვია, სულ უფრო აკრძალული, ტაბუირებული და გაყალბებული გამოდის, მეტი თავისუფლებისკენ, პროგრესისა და განათლებისკენ თანამედროვე ეპოქის სწრაფვის მიუხედავად.
2010 წლის არტისტერიუმზე, როგორც ადრე, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამერიკელების ოთახი, წარმოდგენილი ვიდეო ნამუშევრები კი ძალზე მხიარული, დამაფიქრებელი და ესთეტიკურად რაფინირებული აღმოჩნდა. შილა პეპემ ქოხის მსგავსი ინსტალაცია-ქსელი შექმნა საქსოვი ძაფების, რომლის სხვადასხვა კუთხეებში ადგილობრივი ხანშიშესული ქალები იყვნენ ჩართულნი ქსოვის პროცესში, პოსტკომუნისტური ნოსტალგიის მწუხარე ან მოწყენილ ჩვეულ თბილისურ სამოსში გამოწყობილნი. თავიდან დამაბნეველი იყო მათი დანახვა, თითქოს სწორედ აქ არაფერი ესაქმებოდათ და რომელიმე პროვინციული ბიბლიოთეკის თუ სადღაც შემორჩენილი უქმად მყოფი დაწესებულების სივრციდან იყვნენ აქ

მოხვედრილნი. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ ამერიკელმა არტისტმა რეალობის ჩვენება შეანიშნავად მოახერხა, და არა მხოლოდ მათი რეალობის, არამედ საერთოდ არტისტერიუმის რეალური ადგილობრივი კონტექსტის. ამ ფერადი ძაფების და მხიარული უაზრო ინსტალაციისა და საქმიანობის ფონზე, ყველაფერი მართლაც მისაღებად და შედარებით ასატანად გამოიყურებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ გვეჩვენება ხოლმე, როგორც მძაფრად კონტრასტული და კონფრონტაციული. ასეთივე იოლი განწყობის იყო ივენ როთის ვიდეო `გრაფიტის ანალიზი 3.0~ - მიუხედავად სტრუქტურული და ენობრივი დატვირთულობისა, ის ძალზე სასიამოვნო სანახავი იყო. როგორც 2 წლის წინ, ამერიკელების ისევ კურატორებმა ლიდია მეთიუსმა და ლორი ლაზერმა წარმოადგინეს.
ქარვასლის გარდა არტისტერიუმი კიდევ 7 საგამოფენო სივრცეში იყო ექსპონირებული – გალერეა აკადემია პლუსში, ევროპის სახლში, სამხატვრო აკადემიაში, გოეთეს ინსტიტუტში, ლიტერატურის მუზეუმში, გალა გალერეაში და ნიუ არტ გალერეაში. ასევე, გამოფენაზე ჩართული იყო რამდენიმე გაერთიანება ესტონეთის ლითოგრაფიული ცენტრის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის და პოლონეთის არტისტების. წარმოდგენილი იყო წელს ფოთში არტაქტივის მიერ მოწყობილი ხელოვნების რეგიონალური ვორკშოპის ვიდეო დოკუმენტაცია და თბილისის ისტორიის მუზეუმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტი `კავკასიელები~. საგამოფენო ტერიტორიის შესასვლელში მაყურებელს ზაზა ბაზელის ნამუშევარი "რითმი: ზღვა, მზე" ხვდებოდა, როგორც მომავლის წარმოდგენის გამჭვირვალე შესაძლებლობა – წყლის ზედაპირზე არეკლილი მზის სხივები საუკეთესო ქარგას ქმნიდა ამ ბუნებრივი და თითქოს არამატერიალური მასალისაგან და როგორც ვიდეო გამოსახულების ერთადერთი ხედი, შეგვახსენებდა, რომ ნებისმიერი საშუალება, თვით ვიდეო ჩანაწერიც, ბუნებრივი სტიქიების უბრალო და მშვენიერი პროდუქტია. მართალია, ცეცხლისა და წყლის ანტიკური სტიქიები აქ თვალშისაცემად არ ჩანდა, მაგრამ ცხადია, ეს ნამუშევარი რაღაც მთავარ კომპონენტებზე მიგვითითებდა – ბუნებასა და ტექნოლოგიაზე ერთდროულად. ეს მხატვარი საქართველოს თანამედროვე ხელოვნების სცენაზე, თუ არ ვცდები, პირველად გამოჩნდა და არტისტერიუმის კურატორის მაგდა გურულის სრულიად მართებული საექსპოზიციო შერჩევა და ყურადღება დაიმსახურა.

მეორე ნამუშევარი, "დროშა" ასევე ფრაგმენტის მეთოდით არის

წარმოდგენილი, როგორც დროშის ერთი კალთის მონაკვეთი. ამერიკელი პოპ არტისტის ჯასპერ ჯონსის ამერიკის დროშიდან დაწყებული ეს საგანი უკვე საბოლოოდ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილად შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც პოსტმოდერნიზმის თვითრეფლექსიურობისა და ამბივალენტურობის აქტიური სიმბოლო – როგორც ჩარჩო, სურათი, ნიშანი და თვითკმარი საგანი ერთდროულად. ასეთი დადგენილი საგნის მხოლოდ ერთი ნაწილის ჩვენება, ხაზს უსვამს რომანტიკულ განწყობას, რომ დროშა, ყველაფრის მიუხედავად, უნდა ღელავდეს და მისი კალთა ტალღებს უნდა იკეთებდეს. ან ეს ფრაგმენტი მხოლოდ ადამიანური ნოსტალგიაა დროშის განვლილი და დავიწყებული მღელვარე ისტორიის.
დროშის თემატიკას რაც შეეხება, ის ფაქტობრივად მთლიანად ავსებდა გალა გალერეაში წარმოდგენილ ბერლინში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ჟოტ'სის პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ქართულად დაახლოებით ასე,

`გაჭრისთვის~ ერქვა. ეს ძირითადად იყო სარკეებზე შესრულებული ნამუშევრების სერია, სადაც ცენტრალური ალბათ რევოლუციური, საბჭოთა დროშის მსგავსი სილუეტი იკითხებოდა, ხოლო დანარჩენი ექსპონატები სხვადასხვა აქტივისტურ სლოგანებზე და ლოზუნგებზე მინიშნებებს წარმოადგენდა. მაყურებელი ამ სარკეებში საკუთარ თავს ხედავდა, თითქოს მხატვარი პუბლიკის სინდისს იწვევდა, რამდენად გულახდილები იყვნენ ისინი ჰუმანურობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში, ან შეიძლება ყოველგვარი პოლიტიკური დაძაბულობების წყაროდ თვითონ ადამიანის ეგზისტენციალურ საკითხს აყენებდა.
თანამედროვე ხელოვნების მდგომარეობა დღევანდელ მსოფლიოში ასეთია - მხატვრების უმეტესობა კონცეპტუალიზმის ბაზისზე დაყრდნობით უბრალოდ ფილოსოფოსობს, ან უარესი, პოლიტიკურ დეკლამაციებს აკეთებს.
დასანანია, რომ კატალოგი არ არის აღჭურვილი ქართულენოვანი ტექსტით. ერთის მხრივ, ეს მიანიშნებს, რომ ის განკუთვნილია ექსპორტისათვის, მაშინ, როდესაც ჩვენს ზემოხსენებულ კონტექსტში ასეთ გამოფენას უფრო იმპორტის მოტივაცია უნდა ამოძრავებდეს. ქართულ ენაზე დამთვალიერებელი მხოლოდ მისასალმებელ სიტყვებს ნახავს, მაგრამ ვინც ინგლისური არ იცის, ასეთი კი ბევრია თვით მონაწილე მხატვრებს შორის, ვერაფერს გაიგებს ჩინელი არტისტის ინგმეი დუანის კონცეფციის შესახებ. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ნაწარმოებების უმეტესობას ესაჭიროება გზამკვლევი მის კონცეპტუალურ, მართლაც რომ, ლაბირინთებში გასარკვევად, მაშინ ეს წიგნი დღევანდელი საქართველოს სიტუაციისთვის მხოლოდდა მორიგ მისტიფიცირებულ არტეფაქტად დარჩება. ინგმეი დუანთან ერთად ასეთი დესკრიფციული ტექსტები აქვს პარკ ბიუნგ უკს, ბრუს ალანს, არნო კონტრერასს (ამ ავტორის ნამუშევრები მხოლოდდა უბრალოდ ფოტოა ამის გარეშე), ლუიჯი კოპოლას, ზურა ჯიმკარიანს და სხვ.
თუმცა, როგორც ყოველთვის ამ დეფიციტს მაინც ავსებდა თანმდევი თეორიული პროგრამა-სესია, რომელიც მთელ დღეს გასტანს ხოლმე. ამჯერად ეს იყო 4-5 ოქტომბერს გამართული თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა ნინო ჭოღოშვილის კურატორობით.
14 გამომსვლელი, რომელთა შორის იყვნენ შვეიცარიის კუნსბიულეტენის მთავარი რედაქტორი კლაუდია იოლესი, ბელგიელი კურატორი და კრიტიკოსი ბარბარა ვანდერლინდენი, ისრაელის დიგიტალური ხელოვნების ცენტრის დირექტორი იელ დენონი და სხვ. მიმოიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რამდენად სჭირდება ბიენალე თბილისს; საერთაშორისო გამოფენის მნიშვნელობა არტ სცენის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის და სხვადასხვა ტიპის ინიციატივების როლი სახელოვნებო სივრცების ჩამოყალიბების პროცესში.
არტისტერიუმის წლევანდელ გამო-ფენაზე ასევე საუკეთესო იყო ალიმ რიჟინაშვილის, ილიკო ზაუტაშვილის (არტისტერიუმის დირექტორი), ალი ბრამველის, ლევან ჭოღოშვილის ნამუშევრები. ზოგიერთი ექსპონატი ადრინდელი იყო და დამთვალიერებლისთვის კარგად ცნობილი. თუ ასეთ ისტორიულ ასპექტს მომავალშიც გაითვალისწინებენ კურატორები, კარგი იქნება, თუ აქ უახლესი ქართული მხატვრობიდან რომელიმე პროგრამით წარმოდგენილი იქნება აბსტრაქციონისტთა პირველი ჯგუფი ისევ ილიკო ზაუტაშვილის, გელა ზაუტაშვილის, გია ეძგვერაძის, ლუკა ლასარეიშვილის, გია მგალობლიშვილის და, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბანძელაძის შემადგენლობით.
ასეთი პროგრამული რეპრეზენტაციები, ზემოხსენებული დისკუსიების გაფართოებასთან და ბეჭდური ატრიბუტიკის გაზრდასთან ერთად, მხოლოდ მოენმარებოდა საქართველოს თანამედროვე ხელოვნების კონტექსტის გამდიდრებას და დახვეწას, მის დაახლოებას ფართო საზოგადოებასთან და ცალკეული, ხშირად განზე დარჩენილი ან ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მხატვრებისა თუ სამხატვრო სკოლების აუცილებელ კლასიფიკაციასა და ქრონოლოგიურ დისკურსებს მომავალი საგანმანათლებლო, საარქივო და სამეცნიერო მიზნების გასაიოლებლად.

მხატვრობასთან ახლოს

პოეტი და

ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი დიდი ხანია, ცნობილია საკუთარი სამოგზაურო პუბლიცისტიკით, მისი რეპორტაჟები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ყოველთვის საინტერესო საკითხავი იყო. იაპონელი პოეტების მსგავსად, ის ბევრს მოგზაურობდა და პოეტური ექსპერიმენტებიც ყოველთვის ბავშვივით უხაროდა და აინტერესებდა, ამჯერად კი ჩვენს წინაშე მისი იაპონური მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წიგნია, "ნამდვილი ქაღალდის წერო". დიახ, ადრე იაპონელი პოეტებიც, როგორც წესი, მცირეფორმატიან ლექსებს, ჰაიკუს წერდნენ, მაგრამ ბევრს მოგზაურობდნენ და გზაზე მუდმივად დღიურის ტიპის პროზაულ ჩანაწერებსაც აკეთებდნენ, რაც ცალკე ჟანრად ჩამოყალიბდა და ჰაიბუნი ეწოდებოდა. სწორედ ამ ჩვენთვის ახალ, კლასიკურ იაპონურ ტრადიციას უკვე პირდაპირი მნიშვნელობით ამკვიდრებს პაატა ნაცვლიშვილი და ფოტოების თანხლებით გვიყვება იაპონიაზე.
მეტიც, პაატა ნაცვლიშვილის ახალი წიგნი ცალკე ფოტოგამოფენითაც იყო თანხლებული, რომელიც `თიბისი~ ბანკის გალერეაში გაიხსნა დეკემბერში, რაც, ალბათ, ისევ იმას შეგვახსენებს, რომ პოეზიასთან ყველაზე ახლოს მართლაც ფოტოგრაფიაა, ისიც ხომ სწორედ წამის განუმეორებლობას მისდევს ყოველთვის. მთელი ეს წიგნი კარგადაა შეკრული ჰაიკუს, ფოტოებისა და ჟურნალისტური ნარკვევების მონაცვლეობით, საიდანაც არა მხოლოდ ამომავალი მზის ქვეყნის შესახებ ვიგებთ, არამედ ავტორის ამ ქვეყანასთან დაკავშირებულ ბევრ პირად საინტერესო გამოცდილებასაც შევიტყობთ. საქართველოში იაპონური კულტურის გამოცდილებაც ჟურნალისტის არქივში გამორჩეული ყურადღებით და მომხიბლავად დალაგებულა.
წაიკითხო პაატა ნაცვლიშვილის წიგნი `ნამდვილი ქაღალდის წერო,~ ნიშნავს, თავად იმოგზაურო იაპონიაში და ყველა კუთხიდან თვალნათლივ დაინახო ის – ძენის ბაღებიდან დაწყებული, კიმონოთი და იმპერატორებით დამთავრებული, აქ იაპონიის ძველი და ახალი ცხოვრება გადაიშლება თქვენს თვალწინ. წიგნში საინტერესო დამატებაა მოგზაურობიდან შემორჩენილი ეფემერაც - ტრანსპორტისა თუ მუზეუმის ბილეთები, კონვერტები, გზამკვლევები, სავიზიტო ბარათები, ის, რასაც ჩვენ ყველანი განსაკუთრებული სიყვარულით ვუფრთხილდებით ხოლმე მოგზაურობიდან დაბრუნებისას, როგორც მყიფე, მაგრამ ერთადერთ ხელშესახებ კავშირს სასიამოვნო წარსულის ხსოვნასთან. ავტორის ერთი ვიზუალური ლექსი კი ნამდვილად იაპონური სისადავისა და სტანდარტის მქონე აღმოჩენაა, ის წრიულად იკითხება და მოკლე ვერსიით ასე იქნება - თOKYOთO, რაც ძველი და ახალი იაპონიის დედაქალაქებს, ტოკიოსა და კიოტოს აერთიანებს, როგორც წარსულისა და მომავლის უწყვეტ კავშირს, რისი ჩვენებაც პაატა ნაცვლიშვილმა შესანიშნავად მოახერხა.მოგზაურობის ორგანიზატორი იყო იაპონიისა საგარეო საქმეთა სამინისტრო და იაპონიის საელჩო საქართველოში.

დებიუტი
2010 წლის 2 მარტს სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში სახვითი ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის, ლევან სონღულაშვილის პერსონალური გამოფენა მოეწყო. გამოფენა აგვისტოს ომში დაობლებული ბავშვების მხარდაჭერას ისახავდა მიზნად. გამოფენის გახსნას ესწრებოდა ფონდ"იავნანას" დამფუძნებელი, პაატა ბურჭულაძე. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ყოფით, ალეგორიულ, ბიბლიურ, მითოლოგიურ თემებზე შექმნილი კომპოზიციები, სხვადასხვა მასალით შესრულებული ფსიქოლოგიური პორტრეტები ...

ლევან სონღულაშვილი რამდენიმე პერსონალური გამოფენის ავტორი და საერთაშორისო და საქალაქთაშორისო გამოფენა-

კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებულია. ახალგაზრდა შემოქმედი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში აღწევს წარმატებებს. იგი თვითნასწავლი პიანისტია, სმენით აწყობს და უკრავს კლასიკურსა და ჯაზურ ნაწარმოებებს, ქმნის მუსიკალურ კომპოზიციებს; წერს ფსიქოლოგიურ მოთხრობებს, პროზას, ლექსებს, პიესებს... განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილი პროექტის ფარგლებში, "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში", სამხატვრო აკადემიიდან 18 წლის სტუდენტი გაიგზავნა სკოლის კედლის მოსახატავად და მინისტრის მიერ დაჯილდოვდა. ამავე წელს ლევანის მიერ I კურსზე შექმნილი საპროგრამო ნამუშევარი ხატვის კათედრაზე გამოიფინა, რაც აკადემიის წიგნშია შეტანილი. სხვადასხვა წარმატებისთვის იგი ქვეყნის პრეზიდენტმაც დააჯილდოვა.

Like 0 Tweet 0

თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. N1; ტელ: (+995 32) 223 911; 222 934; ელ-ფოსტა: info@sakhelebi.ge

created by **solostudio** 2011